www.Litklubi.ge

ენგადი

ხევსურეთი

ზაფხულის დამდეგი იყო, როცა ერთი რუსული საფილმო საზოგადოებისაგან წინადადება მივიღე გავყოლოდი მის მიერ გამზადილ ექსპედიციას ხევსურეთში, როგორც მცოდნე ქართული ენისა. დიდი სიხარულით შევხვდი ამ წინადადებას. ეხლა შემეძლო ადგილზე გავცნობოდი ამ უსაიდუმლოეს ტომს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ კავკასიის ტომთა შორის. ხევსურები მეჩვენებოდნენ შორიდან მუდამ როგორც ცოცხალი დანაშთი ერთი უსახელო, ძველი, საუკუნეებში გარდასული ხალხისა. ჩემმა ნატვრამ ამ დანაშთის ხილვისა იმატა ფრიად. ერთ მზიან დღეს კიდეც შევუდექით გზას კავკავიდან. ექსპედიცია ოთხი კაცისაგან შესდგებოდა. მე მეხუთე ვიყავ.
საქართველოს სამხედრო გზა ჩემთვის სრულყოფილი ქმნილებაა ბუნებისა, არა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი თვალწარმტაცი და ლამაზია; სხვაგან შეიძლება უფრო თვალწარმტაცი და ლამაზი ადგილი მოინახოს. ეს გზა ერთი მთლიანი ხელოვნური ქმნილებაა, 200 კილომეტრზე ჰარმონიულად გაშლილი - აქაა მისი უპირატესობა. ყოველი ნაკვეთი მისი ლანდშაფტისა გულისხმიერი ელემენტია კომპოზიციური სასტიკად დაცული მთელისა. კავკავიდან უნდა გადმოხვიდე, რომ ნამდვილად იგრძნო სიმშვენიერე მისი; თბილისიდან იგი შესაძლოა მოგეჩვენოს, როგორც უკუღმა დაშვებული ფილმის ზოლი. მიწა აქ მართლა „დედა მიწაა“, თბილსაშოიანი და ნაყოფმადლიანი. გულის ფრიალით გზნებ ცოცხალს მძლეოსან მითოსს: წინაწვეყნიური დაგქროლავს და გევლება აქ თავს.
მივაღწიეთ დარიალის ხევს. თვითონ ხმოვანებაში ამ სახელისა „დარიალი“ მოცემულია მთელი ჯადოსნური ასახვა ადგილისა. დადუმებული კლდეები სუნთქავენ მყუდროებას. ხოლო ეს სიმშვიდე არაა, ეს უფრო უძრაობაა: თითქო ზვავდენანი ოკეანესი გაქვავებულიყვნენ. გგონია, ვითომ ციკლოპური მიქელანჯელო ყოფილიყოს აქ სამუშაოდ და უძაფრეს დაძაბულობისას გაგიჟებულიყოს იგი: და სისრულის მაგივრად დარჩენილიყო ღრიოშ დემონთა ქაოტიურობა, სამარისებური გარინდებულობა კლდეთა, ნაპრალთა, ლოდთა. დროდადრო გეჩვენება: ესაა გასკდება ეს უძრაობა დაუმთავრებელ ელემენტთა და ატეხილ გრიგალად ავარდება ყოველივე. თერგის ხმაური არღვევს და თანვე აღრმავებს კლდეთა მდუმარებას. შიში გიპყრობს არაადამიანური.
განვვლეთ ხევი და მივადექით პატარა დაბას ყაზბეგს. მარჯვნით გამოჩნდა თვითონ მყინვარი, მარად დათოვლილი. იგი დგას მყუდროდ თავის თავში ჩასვენებული: თითქოს შინაგან მისსა არა ხდებოდეს რა. სდგას ყოვლის განზე, რაც ხდება, თვით არამყარი და თავისთავადი. ხანდახან გგონია, არა მიწიერისაგან, არამედ სხვა ნივთიერისაგან იყოს იგი წარმომდგარი: ვულკანური, ხოლო სიმძიმისაგან თითქო განთავისუფლებული. ინთქმება იგი უსაზღვრობაში, ან უკეთ: ერთვის მას.
გავცილდით დაბა ყაზბეგს. მივუახლოვდით მლეთს. დარიალის ხევიდან როცა მლეთში მოხვალ, გზნებ მეშვიდე დღეს შექმნისა: ისე ნეტარ დამატკბობელია ეს ადგილი. მლეთში თითქო მიწასთან ერთად მიჰქროლავ სადღაც უცხო უცნობ მხარისაკენ. სინაზითა და სილბილით არის აქ ყოველივე მოცული. ნელინელ ეშვება ჰაეროვანი შორეთი სულში. განშორების ჟამს ამა სოფლისაგან უთუოდ მლეთს აირჩევ. ერთხელ კიდევ ვიგემე მისი მადლი. დუშეთში დავიქირავეთ ცხენები და გამყოლნი და ჟინვალისაკენ გავეშურეთ. აქ ერთვიან ერთმანეთს ორი ტოტი არაგვისა: ფშავისა და მთიულეთის. ჟინვალიდან მაღაროსკარის გზით შუაფხოსაკენ გავემგზავრეთ. მივადექით ორწყალს: საცა არაგვი ორ ტოტად იყოფა. აქვე იწყება ერთი ხევი ძნელგასავლელი.
მე ვიცოდი, რომ ფშავები მგოსანნი არიან. ერთმა აღმოჩენამ მაინც გამაკვირვა: ტყეში ხეებზე ამოჭრილი ლექსები ვიხილეთ. კითხვისას ვიგზნე უეცრად: თითქო ეს შაირებიც მცენარენი ყოფილიყვნენ. გზა

გაძნელდა. თანდათან განვვლეთ როგორც იქნა ერთი წავარნა თავბრუდამხვევ სიმაღლეზე ნაპრალების გასწვრივ. რამდენიმე ვერსის გავლის შემდგომ მივუახლოვდით სოფელ მათურას. აქ წავარნას „ფშავის ნახტომი“ ჰქვია: გადმოცემით აქ ერთი ფშავი ცხენიდან გადაჩეხილა ხრამში. ყველგან კლდეთა ეხნი და ქვის საფეხურნი. აქა-იქ ღრეებზე და ხრამებზე ბოგირები: უზარმაზარნი ძელნი, ერთი კლდის კიდურიდან მეორე კიდურამდე გავლებულნი. გზის სიგანე ალაგ-ალაგ ერთი ალაბის მეოთხედი თუ იქნება. უფსკრულში იქაფება არაგვი. შიშის მომგვრელი არე: გული იწყებს რეჩხს.
მათურიდან გზა ავიღეთ ჩრდილო მიმართულებით, საცა არაგვის გვერდით მეორე მდინარე მოხმაურობს. უეცრად თავსა ჰყოფს უზარმაზარი ქედი მთისა, რომლის იქით ხევსურეთია. ამრეცი ბილიკი ხდება უფროდაუფრო საშიშარი. ირგვლივ მდუმარება სუფევს. ჩვენც ვდუმთ. მივაღწიეთ უღელტეხილს. უეცრად მთის თხემის ორივე მხრით წამოიშალა ნისლი, რომელიც საოცარ სიმაღლით დიდდებოდა და სქელდებოდა. რამდენიმე წუთში მოიცვა მან ირგვლივ მიდამო. შიშმა იმატა. ხოლო მყისვე ვიგრძენით უცხო რამ: თითქო კლდე ხომალდი ყოფილიყოს უდიდე და მძლავრი; სიზმარეულ მიგვაქანებდა იგი უსაზღვროებაში ცის რძეთეთრი შორეთის მიმართ. იყო ერთი წუთი: მეგონა, შევეხე მარადობის სამოსელს. უღრმესი ნატვრა, რომელიც თან გამოყვა ჩემ სულს აქეთკენ, იქცა ჩვილ და ნაზ ელეგიად.
განვვლეთ ვიწრო ბილიკი. ირგვლივ უდაბურობა და მდუმარება. გავიარეთ რამოდენიმე ვერსი. ხევი გაგანიერდა ოდნავ, ამწვანდა; აქა-იქ ტყიანი ალაგიც გამოჩნდა. კლდენი სთვლემდნენ ხავსმოდებულები. მუქგრემა კაჟ-ძარღვიან თირქვავნარზე ლივლივებდნენ თბილი ზავთიანი ხალები. შორს - მოთოვლილი მასივები მთისა, ჩვენსკენ - კლდეთა მოშვებული ნაპრალები. ბორცვთა დაფენებანი, ხალებით აქა-იქ ამწვანებულნი; შიგადაშიგ - აღივებული ყვითელი ხორბალ-ველები. გამოჩნდა პირველი სოფელი ხევსურეთისა, რომელიც ციხეს უფრო წააგავდა. თირიქვისაგან ნაშენი სახლები კოშკისებურად იყვნენ ერთიმეორესთან მიჯრილნი. სახლებს და კლდეებს გადაჰკრავდა ერთიდაიგივე ფერი. შთაბეჭდილება იყო: თითქო სახლები კლდისაგან ყოფილიყვნენ ამოზრდილნი. არწივთა ბუდე ნამდვილი.
ერთ მოსახვევში უცხო ვინმეს წავაწყდით თავს. იგი ახალგაზრდა იყო. უნდოდ გვიმზირავდა იგი ჩვენ, შეჩერებული. როცა ქართულად გამოველაპარაკე, მყის მოსცილდა მის სახეს უნდობლობა. შუატანისა იყო. ტანჩაცმულობა ხევსურული ჰქონდა: მოკლე მოშავო ჯუბა, მატყლისაგან ნაქსოვ წითურ პერანგზე გადაცმული. ყელთან და მკერდთან სწორი ზოლები პერანგისა მძივებით იყვნენ აცმულნი, განიერ მდგენ-მფენზე ჯუბა ამშვენებული იყო გოჯისოდენა ჩაქსოვილი ჯვრებით. შარვალი არაგანიერი, ქუსლებიდან მუხლებამდე მუქგრემა ლეკვერთხები. ხევსური 22 წლის თუ იქნებოდა. მხარზე ბრტყელი რკინით მოჭედილი ფარი და წელზე არამოკაული ხრმალი სწორკუთხიანი ტარით; ღვედზე ხანჯალი; ხელში სახრე; თასმის გრეხილი, შიგან მავთულჩატნეული; თვალს ხვდებოდა სიმჭლე მისი სხეულისა; შუბლი მაღალი, ძვლები საფეთქლებთან თხელი და ბრტყელი; ნიკაპი წამახული, ყურები ოდნავ წამოშვერილი; სახეს მისსა გადაჰკრავდა ფერი გამომწვარი აგურისა; ღაწვთა ძვლებს ეტყობოდათ სიძლიერე; სახის კუნთები მაგრად გადაჭიმული ტყავით ცხადყოფდნენ ძალას, საკუთრივ, საკვნეტი კუნთები; თვალები დიდრონი და ლეგა; ზედა ქუთუთოები ნაღვლიანად ძირს დაშვებულნი - თოვლიან ველთა მოლურჯო ციალის გამო? ვაჟი ხშირად ახამხამებდა წამწამებს. მის ფიზიურ აგებულებაში სჩანდა სულიერი თვისებაც მისი ტომისა: უნდობლობა და ამაყი თავდაჭერა, მზაყოფნა გამოწვევისათვის და უშიშროება, თავნებობა და გულოვანება. უნდობლობა მასში შეწყვილებული იყო ბავშვურ რცხვენასთან თუ კდემასთან. სიტყვა მისი სრულხმიანი იყო, თქმა მოჭრილი და მკვეთრი. „ქართველ ხარ?“ შემეკითხა იგი. „ნაწილად“, მივუგე ცოტა შეგვიანებით. უნდა დაგენახათ ხევსურის სახე. ეს ვაჟი, რომლის არსში ყველა ელემენტები ერთ სახედ იყვნენ ქცეულნი და რომელმაც არ იცოდა, რაა განყოფა, ცხადია, ჩემს პასუხს „ნაწილად“ ვერ გაიგებდა. „რა იქმნების ეს - ნაწილად?“ მომიბრუნა მან კითხვა ოდნავ შუბლმოქუშულმა. უნდა ამეხსნა მისთვის. მამით მე რუსი ვარ, გვარად:Lვალუევი. დედით კი ქართველი. ჩემი მშობლები დღესაც თბილისში ცხოვრობენ. დავიბადე

საქართველოში და აღვიზარდე მის წიაღში. სისხლით ვგზნებ მე თავგადასავალს ქართველთა. რასიული ელემენტი ჩემს პიროვნებაში უფრო ქართულია, ვიდრე რუსული. ხოლო ქაღალდების მიხედვით რუსად ვითვლები მაინც. ჩემი დედა ქართველია-მეთქი. ავუხსენი ხევსურს. „მამაი?“ მკითხა მან ღიმილის მოქროლვით. „მამა რუსია“, ვუპასუხე. ხევსური მოიღუშა კვლავ. „რაი გქვიან შენ?“ დამიყენა კითხვა და თვალებში ჩამაცქერდა. „გეორგიი ვალუევ!“ ვუთხარი რუსული გამოთქმით. ხევსურმა დაიწყო ბუტბუტი. „გეორგიი, გივარგი“. რუსული „გეორგიი“ შესცვალა მან ხევსურული „გივარგით“. ვალუევს რომ მიადგა, ენა არ დაემორჩილა. ვერ გამოსთქვა. მაშინ შეეცადა იგი გვარიც ხევსურულად გადაეკეთებინა. დიდხანს ღეჭდა გამოსათქმელს, სანამ მოსანახავს სწვდებოდა: „ვალუაური“, დაასკვა მან. „ხევსურად გინდა გამხადო?“ შევეკითხე მე ღიმილით. „მერე რაი? იქნების ცუდ?“ იმის სახესაც მოედო ღიმილი; ლითონურ სხმული მარცვლებით განიმეორა მან: „გივარგი ვალიაური“. თითქო მომნათლა ამით ხევსურად.
ამასობაში არც კამერა იყო გაცდენილი: ხევსური გადაიღეს ჩემმა თანამგზავრებმა ნაირ-ნაირ, საცნაურო რამ: ფოტოგრაფიულ აპარატს ხევსურში არაფერი გაკვირვება არ გამოუწვევია. მას ვეუცხოვებოდით ჩვენ; დანარჩენს იგი იღებდა, როგორც თავისთავად ცხადს. მდგარიყო მის წინ ამ დროს ნაპოლეონი თუ გოეტჰე, ვერცერთი ვერ გამოიწვევდა მასში გაოცებას. ეჭვი არაა, იგი მათს წინაშე პატივისცემით დაიჭერდა თავს. მაგრამ იმავე დროს იგი დარწმუნებული იქნებოდა შინაგან, რომ სადღაც, ყოფის ერთი არსებით მუხლში იგი მათზე მაღლა სდგას. ასეთი იყო შთაბეჭდილება მისგან გამოწვეული. ხევსური იდგა ჩვენს წინაშე შინაგან ამაყი, ხოლო არა მედიდური.
„ქართულს კარგს უბნობ“, მომმართა გახარებულმა. ხევსურისგან ეს დიდი ქებაა. მგელიკა ალუდაური - ასე იწოდებოდა ჩვენი პირველი დამხვედრი ხევსურეთში - გაგვიძღვა სოფლისაკენ.
მზე იდგა მაღლა, ხოლო არ იყო მწველი. ღრუბლები ჰფენდნენ ჩრდილებს მომწვანო მიდამოს. გული ახალისდა. ირგვლივ სიხარულს აღვიძებდა ყოველი: მდინარის დენა, ქვიშნარის ხალისი, ციალი ნაკადულის სარკიდან ფორაჯმოხატული კლდეთა ფერდები, ხავსმოკიდებული ნაპრალები. ხალისით გვეშლებოდა წინ ხევსურეთი. ქვეითნი მივდიოდით ეხლა. ჩემს გვერდით მხარდამხარ მგელიკა მოაბიჯებდა. აქა-იქ მუხა გვხვდებოდა ნამეხარი, გაფატრული, მაგრამ მაინც მაგარი. ფიქრში მგელიკას ხან მუხას ვადარებდი, ხან კიდევ - თვითონ მეხს. უეცრად თვალი მოვკარ ნაწერს კლდის ფეხზე. შევუდექ მის კითხვას. მგელიკა მათვალიერებდა გაჩუმებული. კიდევ ერთი წარწერა თირზე. გაოცებამ იმატა. გამახსენდა ახემენიდების წარწერანი მიდიაში. მოკლედ მოგვითხრობდნენ იქ მიდიის მეფენი თავიანთ თავგადასავალს. ხევსურები კი ქვაზე მგოსნურ ხილვას ამეტყველებენ. გულდასმით ვკითულობდი მახვილ ფოლადით თირზე ამოჭრილ შაირებს, მრავალი რამ იყო იქ თხრობილი: ჯიხვებზე ნადირობა, მონადირეთა მარჯი თუ მარცხი, მორკინალთა შებმა. „აქ ცხოვრობენ ნაშიერნი ჰომერისა“ - გავიფიქრე. ქართულ პოეზიას კარგად ვიცნობ. მისი ხევსურულ-ფშაური ფშანიც არაა ჩემთვის უცო. ვაჟა-ფშაველას შაირთა კრებული განუყრელი თანამგზავრია ჩემი. მე არ ვიცი ვინ დავუყენო მას გვერდით თანადროულ პოეზიაში. მისი მგოსნური აღვივება მაგონებს ძველთა-ძველ კაცის ექსტაზს, რომელმაც უეცრად მუხის ქერქთა ხეხვისას პირველად იხილა ცეცხლი. მახსოვს ზაფხული 1915 წლისა, ოდეს ეს დიდი მგოსანი ტფილისის ერთ საავადმყოფოში კვდებოდა. ღრმად მოესურვა მას, მშობლიური წყარონი ეხილა კიდევ. გრძნობდა იგი წინასწარ, რომ მამა-პაპათა სავანეში გადადიოდა? - სცადა ლოგინიდან წამოდგომა. ვერ შეძლო საცოდავმა. ფოთლებიანი რტო მოითხოვა მან - მოუტანეს; დოქი მოითხოვა მან ანკარა წყაროს წყლით სავსე - მოუტანეს. რტო მოიხვია გარს - იგზნო მისი ნედლი ძალა. კიდევ ერთხელ სავსე დოქს დაეწფა მოწყურებული - იგემა ნაკადის ცინცხალი სიხალისე, უკანასკნელად. ასე შეერთო იგი მიწას, დედას იგი: ცეცხლოვანი ნაშიერი გილგამეშისა და ილიადასი.
ვკითხულობდი თირზე ამოჭრილ შაირებს; ვგრძნობდი, თუ როგორ მერეოდა მგოსნური თრობა და ვიწყე წარმოთქმა ვაჟა-ფშაველას ერთი შაირისა. გაოცებული და გახარებული მისმენდა ახალგაზრდა ხევსური.

მდუმარე ნაპრალთა შუაგულში ეშვებოდნენ სიტყვები და სახენი ვითა დენა სრულხმოვანი ლითონისა. ვაჟა-ფშაველა სწერდა ფშავ-ხევსურულ კილოზე. ეს კილო არ არის პროვინციალიზმი, იგი უფრო არქაიზმია. ლაკონური გამოთქმა აქ უკიდურესობამდეა დაყვანილი. შაირებში ეს უფრო ცხადდება, რადგან მათი შინაგანი აგებულება ელიპსია. სიტყვები აქ ყოფის ფესვებია თვითონ, მათ ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ სურნელება პირველქმნისა. მეტაფორები უბრალო შედარებები კი არ არიან აქ, არამედ თვით სინამდვილე, განცალკევებულ საგანთა თუ მოვლენათა შინაგან გადაბმული. ყოველი თქმა აქ ელემენტურია როგორც ცეცხლი.

ჩემი თანამგზავრნი ფოტოგადაღებით იყვნენ მოშორებით გართულნი. მე ვაგრძელებდი სხვადასხვა შაირის წარმოთქმას და ვთვრებოდი ჩემივე ხმით. ხევსური ყურს მიგდებდა როგორც განაბული ნადირი. უეცრად ავარდა იგი, მოახტა ნაპრალის ერთს ეხს და მიმოავლო თვალი მძლავრად გაშლილ გარემოს. ახლა ხევსურმაც იწყო შაირობა. მთიულები ჩვეულ არიან ერთმანეთს გადასძახონ შორიდან; დაწმენდილი ჰაერი მთისა აგანიერებს მათ ფილტვებს; საკვირველი არაა, თუ მათ მაგარბგერიანი ხმა აქვთ. ლითონური იყო ხმა ხევსურისა. იგი შაირობდა და ჰყვებოდა: ქისტებს გაერეკათ ცხვართა ფარა თუშებისა; უკანასკნელნი გადევნებოდნენ მათ, დაემარცხებინათ მომვარდნი. სიტყვებში ჩანდა გაავება და შურისძიება. სხვა არაფერი? ხევსური შაირობდა და ჰყვებოდა: თუშებმა ვეღარ შეძლეს ჯოგის მობრუნება: მისი მეთაური რქამაგარი ვერძი მირბოდა გაქანებული სულ იქითა და იქით, მასთან ერთად მთელი ფარა. ხევსური შეჩერდა ერთ წამს, სახე ეცვალა: თუშები იძულებულნი გახდნენ მოეკლათ მეთაური ვერძი, რჩეული, საყვარელი, რათა შეეჩერებინათ გავარდნილი ჯოგი. მოშაირეს თვალები აცრემლებოდა. მე ყურს ვუგდებდი განლინგებული. ხევსურმა ეხლა სხვა შაირი დაიწყო: ერთი მონადირე ჯიხვზე წასულიყო სანადიროდ; შეჰყროდა ვეფხს; ერთი სროლა და მოეკლა ნადირი; ხოლო ამ წუთს ნადირს ტორი მოეკრა მონადირისათვის და ორივე ხრამში გადაჩეხილიყვნენ. ხევსურმა შეისვენა ცოტა, ხოლო ეს არ იყო ბოლო. მოშაირე განაგრძობდა: დედა მონადირისა დასტირის თავის დაღუპულ ვაჟს; ხოლო თანვე ვეფხსაც მიუზღებს სარგოს: დიდი სახელია მონადირისათვის ვეფხთან შებმისას დაღუპვა. გარნა არც ამით თავდებოდა შაირი; თვალღია სიზმარში ხედავს დედა მონადირისა: ვეფხის დედაც დასტირის თავის შვილს. ხევსური დადუმდა. შერხეული ვიდექ; რა სინაზე იყო აქ შაირის ბოლოს, რა ხმიერება გულისა! ნელ კოსმიურ მწუხარებაში ბედითი შებმა მონადირისა ვეფხთან. მოშაირეს ეტყობოდა შაირით თრობა. კიდევ ბევრი იშაირა მან. გიგანტ კლდეთა შუა, სადაც მდუმარება თითქო განუზომელ სიმაღლიდან ჩამოშვებულიყო, ორფეოსის ხმას ვისმენდი თითქო, ჰარმონიით ამღვივებულ ელემენტებისა.

* * *

მგელიკას თავისკენ მივყავდით. ვუახლოვდებოდით ციხისაებრ გამართულ საბინადროს. სახლი სახლზე იყო კლდის ფენზე გასწვრივ მიშენებული, ორსართულიანი - ისე, რომ ქვედა სართულის სახურავი აივნად იშლებოდა ზედასათვის. სახურავები ქვიშანარევი თიხით იყვნენ გადაგლესილნი. ზედა სართული უმეტესად ხისაგან იყო ნაშენი, ქვედა კი - თირიქვისაგან, კირის მაგიერ თიხით და კელათით შეგოზილი. პირველად ძაღლები შემოგვეგებენ წინ, დიდი თეთრი ნაგაზები: ცხვირმოკლე, პირფართო, წამოცქვეტილი ყურებით. მოგვიახლოვდნენ თუ არა, იწყეს ავი ღრენა, კბილების ღრეჭით. მგელიკამ ანიშნა თვალით, რაღაც ჩაუჩურჩულა - ძაღლები დამშვიდდნენ მყისვე.

უკვე ღამდებოდა. მგელიკამ მიგვიწვია თავის სახლში. შევედით ქვედა სართულში, დავსხედით. სკამად მუხის სამტოტა ნამორი იყო. სივრცე ფართო იყო, მაგრამ ბნელი. სინათლე მხოლოდ ერთი სარკმლიდან შემოდიოდა, რომელსაც ხარის ბუშტი ჰქონდა გადაკრული. სხვენი იყო მაღალი და სქელი ჭვარტლით მოცული. ერთ კედელთან კერა იყო ქვებისაგან გამართული; იწვოდა ნაკელი, რომელიც მკბენ სუნს გამოსცემდა. კერის თავზე ჯაჭვით დაკიდული ქვაბი. კედელთან მიელაგებინათ ტომრები ფქვილითა და

ხორბლით, ყუთები, ჭურჭლეულობა და ტანსაცმელი. ერთ კედელზე ეკიდა ნაირნაირი ხრმალი, ხანჯალი, ფარი, სამაჯური, ჯავშანი. სხვენის ქვემო გამართული იყო აქა-იქ ლატანი: იქ ეკიდა ნატე-ნატეხ ცხვარის ძვალი ძაფზე აცმული. მათი რიცხვით აღინიშნებოდა დაკლული პირუტყვი. კერის გვერდით იყო გამართული დაბლანდული ზღვარკედელი, რომლის იქით ოთხფეხნი იმყოფებოდნენ. სქელი ფარდით ერთი სივრცე იყო აგრეთვე გამიჯნული ქალების საძინებლად.
სტუმრები ვერ ვგრძნობდით თავს მაინცდამაინც კარგად. მაგრამ მე ვძლიე უხერხულობა. სახლის მთელ მორთულობაში შევიცნე ელემენტური კავშირი ადამიანისა და ოთხფეხისა. ერთმა რამმ გამაკვირვა: არსად არ ჩანდა თეთრი ლაქა, არც ტანსაცმელზე, არც უნჯზე, არც მოწყობილობაზე. გამოუთქმელი სევდა სუფევდა ყველგან.
ვისხედით ცალ-ცალკე: მე, ჩემი თანამგზავრნი, მგელიკა, მისი მამა და მისი ძმები - ქალები ოდნავ განზე: ისინი იღიმებოდნენ და ხანდახან ხუმრობასაც ბედავდნენ. გაშალეს ტაბლა: მოიტანეს გამხმარი ქერის პური, ცხვრის ლორი და ჯიხვის შაშხი, თანვე არაყიც. მგელიკა იჩოქებდა ერთს მუხლზე და გვაწვდიდა სტუმრებს არყით სავსე ყანწებს. ერთმა ძმამ მისმა დაიწყო ზღაპრის მოყოლა. შემდეგ შეუდგნენ ძმები სიმღერას: თუ როგორ გამოიყვანეს ხევსურებმა მეფე ერეკლე ერთი ომიდან ხელში აყვანილი - წაგებულ ბრძოლის შემდგომ არ სურდა მას ცოცხალ დაბრუნებულიყო უკან. ვუსმენდი მელოდიას: ეს პირდაპირ ტირილი იყო ნამდვილი. შედარებით სხვა ქართველ ტომებთან ხევსურები ჰგოდებენ უფრო, ვიდრე მღერიან. აქაც, სიმღერაში, იგივე სევდა. ზღვარკედლის იქით გაისმოდა რხეული შმუშვნა ახალგაზრდა პირუტყვისა. ვახშმის შემდგომ აგვიყვანა მგელიკამ მეორე სართულზე დასასვენებლად. საძინებლად ჩვენ აივანი ავირჩიეთ. გავშალეთ ქურქები, ბალიშები. მივლაგდით და გადავიხურეთ საგზაო საბნები. მთის ნათელი ღამე იდგა. დაღლილი გავცქეროდით მაღლა ცის უსაზღვროებას. ჩემს თანამგზავრებს წამსვე მიეძინათ. მე კი მზერას ვერ ვაცილებდი თვალუწვდენელ კამარას. ნატვრით ფეთქავდა ჩემი გული. საკვირველი: ვგრძნობდი, თუ როგორ ივსებოდა მოთენთილი სხეული უცხო, ახლად მოდენილი ძალით. ვოცნებობდი და თანვე ვეშვებოდი ნელ-ნელა მძიმე ძილში ადამისა.
* * *

მეორე დღეს დავინახე ეზოში: ბავშვები ფარიკაობდნენ. გაკვირვებული დავრჩი: მათთვის არ იყო უცხო ხელოვნება მორკინალისა. ხელში ეჭირათ ხისგან გამოჭრილი ხრმლები ოდნავ მოკაული წვერით. მრგვალი მომცრო ფარები მათი - ტირიფის ქერქისაგან იყვნენ დაბლანდულნი. ფარიკაობისას ბავშვები ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ ეშვებოდნენ მუხლით, იმისდამიხედვით, თუ რომელი იყო მათთვის მდგომარეობის მხრივ უმჯობესი. ხანდახან ორივე მუხლით იჩოქებდნენ; ეს ხდებოდა მაშინ, როცა ისინი რისხდებოდნენ. წესებს ფარიკაობისას სასტიკად იცავდნენ. შევამჩნიე, რომ ახალგაზრდა მორკინალთათვის საფრთხე „Prim“-ისა უცხო არ იყო.
ბავშვების მაგალითმა გამიტაცა და ვთხოვე ერთს მათგანს ხის ხრმალი ეთხოვებინა ჩემთვის. განცვიფრებით შემყურებდნენ ისინი, ხოლო უფრო განცვიფრებულად მათვალიერებდა მგელიკა - ანაზდად მოსული - როცა მან ჩემს ხელში ხრმალი დაინახა. „შეგიძლიან ფარიკაობა?“ შემეკითხა იგი. მის შეკითხვაზე ცოტაოდენი დაცინვაც იყო შერეული ბარელის მიმართ, რომელიც ხრმალის მომარჯვებაში მთიელს ვერ გაეტოლება. „დიახ, შემიძლია“, გავეც პასუხი ღიმილით. „გინდა იფარიკავო ჩემთან?“ გამიმიწვია მან. „სიამოვნებით“ მივუგე მე.
მგელიკა სწრაფად გაეშურა სახლისაკენ; რამდენიმე წუთის შემდეგ მან გამოიტანა ორი ხრმალი; „აირჩიე!“ მომმართა მან. მე ვიწყე სინჯვა ხრმლებისა და გავვოცდი: მათზე ლათინური წარწერანი დავინახე. ერთზე ეწერა A. M. D. იყო აქ „Ave mater Dei?“ მეორეზე: „Genua“. როგორ გაჩნდნენ ეს ხრმლები ხევსურეთში?

„აირჩიე რაღა!“ შემომძახა მგელიკამ, რომელსაც ვერ გაეგო ჩემი განცვიფრება.

მე ავირჩიე ხრმალი, რომლეზედაც ამოკვეთილი იყო მგელი. თანვე ჩემი ხსოვნაც მუშაობდა. სერვანტესი აღნიშნავს: დონ კიხოტს - როცა ბრძანა ლომის გალია გაეღოთ - ხრმალი მგელის ნიშნით არ აღმოაჩნდაო. მე კი აქ, ქვეყანას მოწყვეტილ ხევსურეთში მეჭირა ასეთი ხრმალი ამ წამს. მგელიკას დარჩა ხრმალი არწივის ნიშნით.
დიდხანს ვფარიკაობდით. მგელიკა მარდად მიტევდა მე. მე კი თავს ვიცავდი და ვიცავდი კარგადაც, რაიც მას ახარებდა.
„ოჰო, შენა შეგიძლიან ფარიკაობაი“, სთქვა მან და დაუშვა ხრმალი. მე ვდუმდი. იგი შებრუნდა სწრაფად სახლში და თასი გამოიტანა. „კარგ უბნობ შენ შაირებს, ფარიკაობაც შაგძლებია - გინდ გახდე ძმადნაფიც ჩემი?“ შემეკითხა იგი თავშეკავებული. „სიხარულით“, მივუგე მე. მგელიკამ აიღო კრძალვით ერთი ვერცხლის ნაჭერი, ჩამოათალა მას ცოტა და თასში ჩაუშვა ჩანათალი. შემდეგ აავსო თასი ლუდით და შენაცვლებით შევსვით იგი სამსამჯერ. ამ წესით დავძმობილდით ჩვენ. ამიერიდან ჩვენი ბედი ერთი გზით წარიმართა.
* * *

ახლოვდებოდა ხახმატის დღესასწაული. ეს დავუმალე მე ჩემს თანამგზავრებს, რადგან არ მსურდა ისინი დასწრებოდნენ მას: არ მსურდა, რადგან ვშიშობდი, რუსი სტუმრების იქ ყოფნა აიძულებდათ ხევსურებს თავისი რიტუალიდან ბევრი რამ არ ეცნაურებინათ; მე კი არ ვიყავი მათთვის ასე უცხო: ჯერ ერთი, ქართული მემარჯვებოდა და მეორე მგელიკას ძმადნაფიციც ვიყავი უკვე. ხევსურები ამის გამო მე როგორც თავისიანს მიმიღებდნენ. ჩემი თანამგზავრნი გაეშურნენ ხახაბოს, მგელიკა და მე კი გავემგზავრეთ ხახმატისაკენ. გუდანის ახლოს მარცხნით ავუარეთ გვერდი მთის ერთ თხემს, რომელზედაც აღმართულია ციხე თამარ დედოფლისა. გავყევით ქვევით ალპური ყვავილებით მოცულ ბორცვებს. ბოლოს მივაღწიეთ ხახმატს, მდინარის ორივე ნაპირზე მდებარეს. ერთ ციცაბო კლდიდან კოშკი გადაჰყურებს ხახმატის მიდამოს. იქვე ახლოს წმინდად მიჩნეულ ეწერში, სადაც აკრძალულია ტოტის მოტეხაც კი, სალოცავი - „ხატი“ - არის გამართული. ასეთ ეწერთა არეში მცენარეულთა ზონის მაღლა ხეებიც კი გვხვდებიან ხევსურეთში: საცნაური მეცნიერთათვის.
წმინდად მიჩნეულ ხეების ჩრდილში გამოჩნდა სადა თირიქვისგან ნაშენი საჯვარე. გალავანში დიდ ლოდებზე ესვენა ჯიხვის და ირმის რქები. საჯვარის გვერდით იდგა პატარა შენობა, საცა დღესასწაულის ჟამს ღამეს ათევენ ხევსურები. ცოტა ქვემოთ - მეორე პატარა შენობა ხალხისათვის. ირგვლივ ქოხები: ერთში ხდიან რიტუალურ ლუდს; მეორეში ინახავენ მას; მესამეში ხორბალია დაგროვილი. სალოცავი დაბალი იყო და ბნელი. გამიკვირდა, რომ „ხატში“ არავითარი ხატი არ იყო ამ სახელის ბარის მნიშვნელობით. სამაგიეროდ მრავლად მოიპოვებოდა იქ კოდი, ხისგან გამოჭრილი, მრგვალი და გრძელი; აგრეთვე: უთვალავი დოქები, ქვაბები, კასრები, ორშიმოები. ერთადერთი რამ წმინდა - სალოცავში იყო „დროშა“ - გრძელი, მოვერცხლილი ლატანი, ვერცხლისსავე რკინაწვერიანი ხრმალით. დროშას ეხვია ალამი, რომელიც მოქროლვისას ფართოდ ფრიალებდა. ყოველი ეს უბრალო იყო, ვით ლოცვა. ეწერი მსუნთქავ მყუდროებაში იყო ჩასვენებული.
ხალხი მოგროვდა უკვე. მლოცველნი ელოდნენ მთავარ ხევისბერს. ბოლოს გამოჩნდა იგიც: ახოვანი, მჭლე, ძალოვანი. ყველამ მოიხადა ქუდი. შეკრებილთ უმეტეს წილ თავი გადაპარსული ჰქონდათ; არცერთისათვის არ შემიმჩნევია სილაქვასავით მლივი თავისქალა. თვითეულ მლოცველს მოეყვანა საზორვო ცხოველი, უმრავლესად ცხვარი; თანვე დოქიც ლუდით სავსე. ხევისბერი შეუდგა წირვას. აანთო სანთელი, აიღო დოქი. მის წინაშე დადგა ერთი მლოცველი. ბერმა იწყო ლოცვა: „დიდება გამჩენს, დიდება დღევანდელ დღეს,

დიდება მზეს და მის თანა მყოლთ! მოგცეს მაღალმა - აქ მან სახელი ახსენა მის წინ მდგომ მთხოვნელისა - ბედნიერებაჲ და კურთხევაჲ!“ ხევისბერმა თავი მაღლა ამართა და ნახევრად მოხუჭული თვალებით მიმართა მან ეხლა უხილავს: „ისმინე ვედრებაჲ მლოცველისა! აჩუქე მას ვაჟი, ამრავლე მისი ნაშიერი და მოსავალი მისი! ეხმარებოდე მას მდინარის გავლისას! შეეწეოდე ავადმყოფს მისას! შეგცოდა მან, აპატიე ცოდვაჲ! მოჰფინე მას შენი სამოსელი! ნუ მოაკლებ მას ძალას, რათა გარეკოს მან მტრები! გამოექცეს იგი მაძულებელსა, მოეშველე მას, რათა ხელთ არ ჩაუვარდეს მდევნელს! აკურთხებდე ნამუშევარს მის ხელთა და მის ოთხფეხთა! იყავ მოწყალე მისი მარადის!“ დაამთავრა ბერმა ლოცვა, მოსვა ცოტა ლუდი და შემდეგ გადასცა იქვე მდგომ შემწე ბერებს. ეხლა ამათაც მოსვეს ცოტა და დანარჩენი ჩაასხეს იქვე გვერდით მდებარე კასრაში. მთავარი ხევისბერი შეუდგა ეხლა კურატის შეწირვას. ბასრი დანით გადასერა მან ყელი ცხვარისა და სისხლის ნაკადი ხის გობში გადაუშვა. ხელი დაისველა სისხლით და თითებით მოსახა მლოცველის შუბლზე ნიშანი ჯვარისა. მაშველნი ხევისბერნი კურატის სისხლს სალოცავის კედლებს ასხურებდნენ. ხევისბერმა მოსჭრა შემდეგ მსხვერპლს თავი და გაუწოდა იგი შემწირველს. ბერებმა გააცილეს მლოცველები და მათაც დალოცეს იგი: „მიიღე მოწყალებაჲ ღვთისა!“ ეხლა მეორე მლოცველი წარსდგა ხევისბერის წინ, მეორეს მესამე მოჰყვა და ასე შემდგომ. ხევისბერი იდგა სისხლამოვლებული; ხელში გალესილი დანა ეჭირა, რომელსაც აგრეთვე სისხლი სდიოდა. ბერი მთვრალი იყო სისხლით. ანთებულ მზერდნენ მისი თვალები. იგი თითქო მზა იყო საკუთარი შვილი მიეტანა სამსხვერპლოდ, შეშლილს ჰგავდა იგი წმინდას, რომელიც უკანასკნელ საიდუმლოს ეხება.

ხალხი დაიყო ჯგუფებად სოფელთა მიხედვით; ქალნი ცალკე, კაცნი ცალკე. გაშალეს რიგრიგად ტაბლები. მოიტანეს: ხორცი, ხინკალი, ლუდი, არაყი. წირვა თანდათან ნადიმში გადავიდა. სვამდნენ ჯიხვის რქით. ხალხის ხალისობა მზის ჩქერალში ისმოდა. მღეროდნენ საგმირო სიმღერებს. ერთი იწვევდა მეორეს გაშაირებაში. შაირებით შებმაში ყველა გამარჯვებული გამოდიოდა. რიგებმა ფარიკაობაც იწყეს. მორკინალნი ჩაცმულნი იყვნენ, როგორც მეომარნი. ტანზე ჯავშანი ეცვათ, მკლავებზე სამკლაური, მხარზე ფარი და წელზე - ხანჯალი; თავზე ჩაფხუტი ეხურათ, რომლის ქვე-ჩამოშვებული რკინის წვრილი ძეწკვები მხრებამდე სწვდებოდათ. ფარები აქა-იქ ნაჭდევნი და ჯავშანნი საკმაოდ შეცვეთილნი მოწმობდნენ, რომ მორკინალთ არაერთი მკაცრი შებრძოლება ხვდენოდათ. ბევრ მათგანს ჭრილობის კვალი შერჩენოდა სახეზე: ეს ალბათ „საცერულის“ მოხვედრით. მეომარნი ფარიკაობდნენ, როგორც ვიკინგები. ნადიმი ორგიაში გადადიოდა. ახალგაზრდა ხევსურები ქალთა ჯგუფების მიმართ ორჭოფ სიტყვებსა და თქმებს ისროდნენ. ქალები ღიმილით უპასუხებდნენ. მონადიმეთა ძალაყრილობა მატულობდა. ეს ძალა საითმე უნდა „გაეშვათ“ - და აი ყმაწვილი გმირები მოახტნენ მუხლმაგარ ცხენებს. მარულა გაიმართა. ცხენებთ მოედოთ მხედართა ზარხოში.

* * *

მე ვიჯექ მონადიმეთა შორის. ხოლო შინაგან ვერ გავხდი ზიარი დღესასწაულისა: მაყურებელი დავრჩი მხოლოდ. უცხო ატმოსფერო იშლებოდა ჩემს ირგვლივ. ყოველი ხევსური ცოცხლობდა აქ სიცოცხლით მთელისა. პიროვნული თაური, ტომისაგან გამოყოფილი, უბრუნდებოდა თავის ბნელ სშოს. ცალკეულობა ქრებოდა, გვარული ღვიოდა. მოდგმის მაგარი სისხლდენით აყვანილნი, მონადიმენი ფიზიური წევრები იყვნენ მხოლოდ ერთი უხილავი მთელისა. ცალკეულ უთვალავ ქვეფენებში - ვგონებდი ასე - უნდა ხატულიყო უთუოდ ცოცხლი სახე მთელისა: ტომის. ჩავუკვირდი სიტყვას „ხატი“. რა არის ეს, თუ არა შინაგანი ყალიბი ხელუხლებელი მთელისა? სალოცავს „ხატი“ ჰქვია, სადაც ერთი ხატიც კი ბარის გაგებით არ მოიპოვება. მაშ „ხატი“ სურათი კი არ ყოფილა, არამედ შინა-სახე. ჩემს მიხვედრას სხვა რამეც ამაგრებდა. რიტუალური ლუდის გამოსახდელად წყალი მთელ სოფელს მოეტანა ერთობლივ - ნიშანი მთელის გზნებისა. შესაწირავნი ცხოველნი სალოცავში კომლობით მოეყვანათ, მიუხედავად კომლთა სულადობისა -

კიდევ უფრო მკვეთრი ხაზი მთელის წარმოსახვისა. ხევსური ეძახის თავისთავს „ხატისყმა“. ეს სახელდება მხვედრია, რადგან ხევსური ტომის ნების ამსრულებელია.

* * *

ჩრდილში ქალები ისხდნენ. ისინიც ნადიმობდნენ, მხოლოდ თავშეკავებით. ზოგი მათგაი იქვე გვერდით მდებარე წმინდად დასახულ ლოდზე შემდგარიყო. ალბათYისინი უნაყოფონი იყვნენ და წმინდა ქვისგან მოელოდნენ კურნებას. ქალები ჩურჩულებდნენ თავიანთ შორის. დროდადრო გადმოხედავდნენ ისინი კაცების რიგევს: ამახალისებელი თუ ორაზროვანი მზერით. რაღაც ორმაგი იყო მათ ღიმილში. უნებურ გამახსენდა საიდუმლო ღიმილი ლეონარდოს ჯიოკონდასი. ქალთა შორის ერთი ახალგაზრდა იპყრობდა განსაკუთრებით ჩემ ყურადღებას: განიერთეძოიანი და მუხლმაღალი. მის სახეს გრემა ზეთისხილის ფერი გადაჰკრავდა; დიდრონი თვალებიდან გამოჰკრთოდა მოლურჯო ციალი შორეთისა. ორჭოლ იღიმებოდა და არა უბნობდა რას. ჩემს მზირვას მოჰკრა მან თვალი და მყისვე მოიღრუბლა ეშხიანი: მოქუშა ლამაზად შეყრილი გრძელი წარბები. განლიგებული ვმზერდი მას. დიდი ბედნიერებაა, ოდეს ხედავ ქალს, რომელიც საკუთარ ბედად გევლინება; კიდევ უფრო დიდი ბედნიერებაა, ოდეს მის გამოხედვიდან ტყობილობ, რომ მოსწონხარ. ვიგრძენი, ამ გოგონას მოვეწონე. ალბათ ჩემმა ურიდმა მზერამ ცოტაოდენ თუ არია ლამაზი: იგი წამოდგა თითქო გამგუნებული და ზანტად გაეშურა ქალთა სხვა ჯგუფისაკენ. მისმა კენარმა ტანმა გამომწვევი ლოდინით კიდევ უფრო გამიხელა სურვა. ახალგაზრდამ მოიხსნა თავსაფარი: სქელი მოკლედ შეკრეჭილი თმები მისი ღვიოდნენ მზის ტალღებში, ვით მუქმეწამული კაჟები რიყეზე. მონატრებული ვმზერდი მას და მის აჩრდილს: თავიდან ფეხებამდე ლივლივებდა იგი. გარდა მომხიბვლელისა, ვგრძნობდი, არავის შეუმჩნევია ჩემი სურვილავსილი მზერა. ტკბილი იყო ეს და საიდუმლო. უეცრად ხელდარტყმა ვიგზნე. მოვიხედე: მგელიკა იყო. პირი გაეხსნა ღიმილით, მოუჩანდა თეთრი მაგარი კბილები. ჩამჩურჩულა ახალისებით: „მოგწონს?“ თავი დავღუნე დარცხვენილმა. ბიძაშვილიაო ჩემი, დაუმატა მან.
* * *

გავიდა რამდენიმე დღე, ჩემი თანამგზავრნი დაბრუნდნენ. თან მოიტანეს მრავალი გადაღებული სურათი. ვეშვებოდი თანდათან ხევსურების ყოფაში. ერთ დღეს მგელიკა და მე გავემგზავრეთ ჯიხვებზე სანადიროდ. მზის ჩასვლისას ეშვებიან ჯიხვები მიუვალ კლდეთა ფენებიდან ალპიურ საძოვრებზე და დილამდე სძოვენ ნოყიერ ბალახს. ფეხის წვერებზე „სამწვერა“ ავიკარით, რათა გაჭირვებისას ხრამის გნედზე თავი შეგვემაგრებინა. ბრუდამხვევი იყო ვიწრო ბილიკი ნაპრალებზე, მივდიოდით მღლი და მაღლა დაძაბულნი მთელი სხეულით. საცა გზა წყდებოდა, იქ ხანჯლით ვკვეთდით კლდეზე საბიჯარს, სანამ ახალ გზას მოვნახავდით. ერთი უეცარი ასეხლეტა საბრჯენი ქვისა და ჩვენ ბეწვზე ვეკიდეთ. მგელიკასათვის ადვილი სავალი იყო ეს წავარნა, ჩემთვის კი მეტად საძნელო. გულთბილი დაცინვით მამხნევებდა იგი. ერთ კონცხზე მუქმოლურჯო ფრინველი დავინახეთ თეთრზოლებიანი, რომელიც ჯიხვთა მეგობრად ითვლება. მე პირველად ვიხილე ეს უცხო ფრინველი, რომელსაც ქართველნი შურთხს ეძახიან. ჯიხვი არსად ჩანდა. ბოლოს გამოჩნდა ერთი ნუკრი, რომელიც ჩვენკენ მოდიოდა. მყისვე უხვიეთ გზას და ამოვემალეთ კდლის ერთ მონახეთქს. მოგვკრა თვალი თუ არა, ჯიხვი ისეთი სიმარდით გამოეშურა, რომ - დავრჩენილიყავით ბილიკზე - დაგვეტაკებოდა და ხრამში გადავიჩეხებოდით. ჩვენ კარგად ვიანგარიშეთ. ორი გასროლა და ჯიხვი დაეცა. მგელიკას ტყვია მოხვდა მას. წამოვიღეთ დაკოდილი ლამაზი ნადირი, ტყავი მგელიკას ეკუთვნოდა, რადგან მისმა გასროლამ აჯობა ჩემსას. ხორცი კი ორივეს გვერგებოდა, ხოლო რქები სალოცავისთვის უნდა შეგვეწირა. ყველაფერი ეს - ხევსურთა ნადირობის წესით.
დავბრუნდით უკან. მგელიკა ხარობდა უზომოდ: ხუმრობდა, იცინოდა, ჰყვებოდა ამბებს. ჩემში კი ლამაზი

გოგონას სახე იჭრებოდა მძაფრად. გახსენებისას სახის მეტყველებაც მეცვლებოდა, ალბათ ნადირის ალღოთი მიმიხვდა მგელიკა გულნადებს. „მე ვიცი ვიზედაც ფიქრობ“, ღიმილით ჩამაწვეთა მან. „ვიზედ?“ შევეკითხე განცვიფრებული. „მზექალაზე!“ ეს იყო სახელი ნატრულისა. „მართალს არ ვუბნობ?“ მგელიკა ისევ იღიმებოდა. მე არა მითქვამს რა. „ამაღამ გაეცნობი მას“, წამჩურჩულა მან. „როგორ? ამაღამ?“ ვეკითხებოდი გაკვირვებული. ეხლა მგელიკა სდუმდა. იგი იღიმებოდა მხოლოდ.
გზაზე გრიგალი წამოგვეწია. ერთს გვირაბში შევაფარეთ თავი. დიდი დელგმა წამოვიდა: ფართო მარაოებით ესხმოდა იგი არეს. მომხიბვლელი სურათი გადაიშალა ჩვენ წინ. წვიმის წვეთები რკინის სიმსხონი იყვნენ. ველური ატეხილობა ელემენტთა ახმაურდა ჯადოსნურ ორკესტრით. მეგონა, თითქო კოსმიური სიმფონია ხმიანდებოდა ირგვლივ. მგელიკა სიხარულით იყო აყვანილი. თეთრლილისფერი ზოლებით სერავდნენ ელვანი დელგმით შებნელებულ მიდამოს. უეცრად ჩვენს ახლო მეხი დაეცა ფიჭვის ხეს. ხეს წამსვე უცხო ალი მოედო. ვიგზენ მთელ ტანით რაღაც უაღრესად აღმტაცებელი. მგელიკას თვალები უელვარებდნენ. ვხედავდით სიცოცხლეს, ბრმას, უცოდოს, პირველსუნთქვიანს, ძლევამოსილს. ჩვენი გულებიც ხარობდნენ ალმოდებულნი. ძმადნაფიცნი გადავეხვიეთ ერთიმეორეს.
* * *

მე მეგონა მგელიკამ იხუმრა, ხოლო სადღაც ერთს კუთხეში ჩემი თვითცნებისა მწამდა მისი ნათქვამი, ანუ უკეთ: მსურდა მართალი ყოფილიყო მის მიერ თქმული. ვსაზრობდი: რაც მგელიკამ გადმომცა, არც ისე საკვირველი უნდა ყოფილიყო. პრიმიტივ ხალხთა შორის ცნობილია ხომ, რომ სტუმარს ერთი ღამით მშვენიერ ქალწულს მიუყვანენ ხოლმე. შესაძლოა ხევსურეთშიაც ასე იქცევიან, ვფიქრობდი გახარებით. ღამის გასათევად, მოშორებით ჩემს თანამგზავრთაგან, მეორე სართულში ავირჩიე ერთი ალაგი. საწოლი მილაგებული ფიცრები იყო უბრალო. იქ ეწყო ტყავი ცხვართა და ჯიხვთა, აგრეთვე ჩალაც. ჩემი სამგზავრო საბანი არ ამიტანია. მაგრამ რას არ გაუძლებ, ოდეს ტკბილსა და მათრობელს მოელი!
მოველოდი მზექალას და მაგონდებოდა სიტყვები ჰეროდოტისა: „ყოველმა ქალმა იმ მხარისა, ბაბილონისა, ერთხელ თავის სიცოცხლეში უნდა შესდგას ფეხი აფროდიტეს ტაძარში, რათა აჩუქოს თავისთავი სასიძეოდ უცხო კაცს. საწმინდარის გაცვანი დაყოფილია აქ ნაირნაირი ნაქსოვნაგრეხით. უცხონი ვლიან იქ და იჩევენ თავისთვის ქალს, რომელიც მათ მოეწონებათ. უცხო კაცი ფულს გადაუგდებს არჩეულს და წაიყვანს მას გალავნიდან ერთად ღამის გასათევად. ამ დროს მან უნდა სთქვას: „ვუხმობ ქალღმერთს მელიტას“. რაც უნდა მცირე იყოს ფული, ქალი უარს ვერ ეტყვის კაცს, რადგან მიცებული წმინდაა: ასეთია კანონი. ქალი მიჰყვება მსურველს, არჩევანი არა აქვს მას“.
ჩემი საძინებელი ოდნავადაც არ ჰგავდა აფროდიტეს ტაძარს, მაგრამ ხევსურ გოგონას მოლოდინში მე მართლაც ვიგულვებდი ჩემ თავს „უცხოდ“ ჰეროდოტეს გაგებით. ლამაზი არ სჩანდა. ღრმად ვუკვირდებოდი გადმოცემას ძველი მეისტორიისა. მეძაობას არ ჰქონდა აქ ადგილი, რადგან თვით მეფის ასულთაც, რომელთაც ცხადია არ დასჭირდებოდათ თავის სხეულის გაყიდვა, უნდა გაევლოთ ეს რიტუალი აუცილებლად. გარდა ამისა, მიცემულ ფულს იღებდა ქალი არა სასყიდელს, არამედ როგორც საჩუქარს ღმერთქალისათვის. შესაძლებელია აღვირახსნილი ავხორცობა იყო აქ. მაშინ აუხსნელი რჩება: თვითონ რად არ ირჩევდნენ ქალები კაცებს. არა აქ სხვა რამ უნდა ყოფილიყო დამალული, ვფიქრობდი გაკვირვებული. გამახსენდა ახსნა ან საიდუმლოსი, რომელსაც იძლევა ერთი ჩვენი დროის მწერალი, მცოდნე ძველი მისტერიებისა. იგი ამბობს: ყოველი კაცი, თუ გინდ ერთხელ თავის სიცოცხლეში, უნდა შეუერთდეს ქალს და ყველა ქალმა, თუ გინდ ერთხელ თავის სიცოცხლეში, უნდა განიზიაროს კაცთან შეერთება - არა იმისთვის, რომ ჰშობონ. მაშ რისთვის? მისთვის, რომ ერთი წუთით მაინც გამოეყონ რკალდენას დაბადებისა და სიკვდილის და ამ გზით იგემონ მარადობა თუ უკვდავება. ახსნა - გულისხმიერი, ხოლო არც ისე ნათელი. მოველოდი მზექალას და ველოდი სხვა ახსნას. შესაძლოა სხვა მოვლენასთან გვაქვს ჩვენ აქ საქმე,

ვფიქრობდი მე. ვინ იცის, ეგებ ბაბილონის ქალები „უცხოს“ ღვთიურ არსად იგულვებენ და სიძვას მასთან საკრალურ აქტად. ნდომა ოცხოურის, სხვაურის - ეს ხომ მორჩია ადამიანის ბუნებისა. დია, თვით ღმერთის არსებისაც კი. ღმერთი არის თვითმქმნელი. ყოველ წუთში თვითქმნისა იგი, რასაკვირველია, „იგივეა“, ხოლო თანვე „სხვაც“. ეს სხვა ვლინდება როგორც „უცხო“, ხანდახან როგორც მოშუღარი თითქმის, აქ მარხია პირველსაიდუმლო. ყოველი არსი ისწრაფვის სხვაურისა ანუ უცხოურისაკენ თვითშექცევაში. შეიძლება აქ იმალება - განვაგრძობდი ფიქრს - საიდუმლოებაც ეგზოგამიისა. ხევსურეთში, მაგალითად, აკრძალულია დაქორწინება ერთსადაიმავე თემში. კიდევ მეტი: იქ ერთსადაიმავე სოფელში დაქორწინებაც სირცხვილად ითვლება. უეცრად ჩემს მოფიქრებაში ქართული სიტყვა შემოიჭრა: „უცხო“ და მისგან წარმომდგარი ზედშესული: „საუცხოვო“. ნიშნავს ხომ „საუცხოვო“ სასურველს, სანატრელს, მშვენიერს. როგორ არ გწამდეს მაშ შეყრა „უცხოსთან“, თუ ეს უკანასკნელი „საუცხოვოა?“
ველოდი მზექალას და ვგონებდი თავს „უცხოდ“ - საშიშარია და თანვე ნეტარიც ამის წარმოთქმა - ღვთიურ არსად. მაგრამ მზექალა არ სჩანდა. იხუმრა მგელიკამ? დრო მიდიოდა. ანაზდეულად შრიალი გაისმა. გაიღო კარი. ნუთუ ისაა, სასურველი? გული ამოხლტომას ლამობდა. ვცახცახებდი და ვნატრობდი. ნელი, ძალსრული ნაბიჯით მომიახლოვდა იგი. შეჩერდა. წამოვდექი. ქალაი მომესალმა მშვიდი დაბალი ხმით. პასუხად რაღაც წავიბუტბუტე. გავიდა ორიოდე წუთი. მზექალა ჩამოჯდა ლოგინზე. სდუმდა, ჩემგან რაღაცას ელოდა ალბათ. მე დავიბენი. ბოლოს მიწვა იგი სამოსელგაუხდელი. მეც მივწევი მის გვერდით; თანვე ვანიშნე ტანსაცმელი გაეხადა. განზე გაიწია. მეგონა, რცხვენა მოედო. მოვიკრიბე ძალა და ვცადე მე თვითონ გამეხადა მისთვის საცმელი. იგი ავარდა კუშტად. შევჩერდი, ვეღარ გავიგე რა. ლამაზი ღვიოდა. „გინდების ჩემი სწორფერ იყო?“ მომმართა მან ბოლოს. მე არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა პასუხად. სწორფერი? მნიშვნელობა ამ სახელდებისა ჩემთვის უცნობი იყო. ვიცოდი მხოლოდ, რომ იგი ორი სიტყვისგან შედგება: „სწორი“ და „ფერი“. არ შევეკითხე თუ რას ნიშნავდა „სწორფერი“. უნებლიედ მივუგე: „მსურს“. ქალი გაიშხვართა ლოგინზე ჩემს გასწვრივ. მე სუნთქვა მელეოდა. ქალი მომეხვია მღვივანი და შუბლი გადამიკოცნა მოვხვიე ორივე ხელი მის თავს და ჩავეკონე მოწყურებული მის ხალას ტუჩებს. იგი მნებდებოდა. ხოლო როცა ჩემკენ მოვიზიდე მისი ათქვირებული ტანი, იგი უფრო კუშტად შეირხა კვლავ და მომეგება მკაცრად: „ეგ არ იქნების! ჩვენ ხომ სწორფერნი ვართ!“ გონება დავკარგე. ყველაფერი, მხოლოდ „ის“ არა - როგორ უნდა გამეგო ეს?
მე ვეხვეოდი მას და ვკოცნიდი, იგი ტანს მეტმასნებოდა. რაომე ჯადოსნობით რომ შესაძლო გახდეს: რომელიმე ქალმეგობარი კლეოპატრასი სატრფოდ მოევლინოს ჩვენი დროის კაცს, ეროსს მათ შორის სრულიად სხვა სუნთქვა და სურნელი ექნება. გზნების შინაგანი განცდა იქნება სხვანაირი. ხევსურის გოგონა ასეთს სატრფოს მაგონებდა. ხევსურეთში არ იციან დრო: იქ დღესაც ისე ცხოვრობენ, როგორც ათასი წლების წინათ. მზექალა იზრდებოდა ჩემს მკლავებში და ღვივდებოდა ვითარ უხანო ევა. მკერდი მკერდს ეხებოდა აგზნებული. ქალი იხევდა ტანით. თუმცა მხურვალე ტუჩებს არ მაცილებდა. სხეული მისი კლდე იყო თითქო, შეუცვლელი და ასევე შემცველი. კლდიდან წყარო ნაკადობდა: მისი ბაგე, რომლისაგან კოცნას ვსვამდი მათრობელს. იგიც თვრებოდა ჩემი კოცნით, ხოლო ორივე თავს ვიკავებდით ამ მწველ სიტკბოში; საკრალურ გავლებული ზღვარი არ გადაგვილახავს. ალიონზე შეუმჩნევლად მიმატოვა უმანკო ბაკქანტმა.
* * *

ვერა გამეგო რა, ხევსურის ასული არ მრგებია ისე, როგორც ბაბილონის ქალი „უცხოს“: ჩემი ახსნა საიდუმლოსი ფუჭი გამოდგა. ეხლა სხვა მხრით იკვლევდა გზას ჩემი ფიქრი. არ ვუარყოფდი, რომ წინა ღამით განცდილი - დანაშთია ძველისძველი რიტუალისა, უცხო სტუმარს ღამით ქალწულს რომ მიჰგვრიდნენ ხოლმე; ხოლო ეს დანაშთი აქ, ხევსურეთში, გადასხვავებულად მეჩვენა ეხლა. ვინ იცის, შესაძლოა ხევსურებმა ერთ დროს რაინდული წესი განვლეს სიყვარულისა, საცა უკანასკნელი „ტრფიალი“

იყო მხოლოდ, არა სიძვა, რომლის გავლენით ძველი, ხორციელი „შეხვედრა ქალისა და ვაჟისა - სიმბოლურად იქცა. ვსაზრობდი ასე, ამას ერთი რამ ამაგრებდა თითქო. გავიფიქრე:Lშეიძლება მგელიკას ცდა უნდა ჩემი, შევძლებდი თუ არა მე როგორც ძმადნაფიცი რაინდულად დამეცვა ზღვარდებული. ასეთი იყო ეხლა ჩემი ჰიპოთეზი. ხოლო ერთი სუსტი მხარე მასაც ჰქონდა: თუ ეს ასე იყო, მაშინ რად მეტმასნებოდა მზექალა ტანს ვნების ასეთი ატეხილობით? საიდუმლო დარჩა მოიხვედრი. გადავწყვიტე მგელიკასთვის მეკითხა, მაგრამ მას ამისთვის აღარ ეცალა: ერთი მისი მეგობარი მოშუღარს სასიკვდილოდ დაეჭრა.
* * *

ბავშვობაში ხშირად უნდა დამეკლა ქათამი. მარცხენათი ვიჭერდი ფრთებს და ცერით მოვსწევდი თავს: ისე რომ ყელი სჩანდა მხოლოდ. მარჯვენით დანა მეჭირა. ერთი გადასერვა და ქათამი დაკლული იყო. ვგრძნობდი რაღაც უსიამოვნოს, მაგრამ ხელი მაინც მარჯვედ მოქმედებდა. თავგადაჭრილი ტანი ქათმის ცახცახებდა კიდევ რამდენიმე წამს, განზე დაგდებული, მე კი დანას ვწმენდდი სისხლისაგან. ერთხელ კი გასაოცარი რამ განვიცადე. იმ წუთს, როცა თავმოჭრილი ტანი კიდევ ებრძოდა სიკვდილს და ბრმად ფართქალობდა, უეცრად მოკვეთილი თავი დავინახე: ნისკარტი მოძრაობდა სუნთქვამილეული, ქუთუთოები ხამხამობდნენ სიბრმავეს ზიარებულნი. უცნობმა შიშმა დამიარა ტანში. საშინელება ის იყო - ეს შემდგომ გახდა ნათელი - რომ სიცოცხლე, სხეულში განუყოფელი, სიკვდილს აქ განწევრებით ებრძოდა: ერთი მხრით თავში, ხოლო მეორე მხრით ტანში. საშინელი სხვაც რამ იყო კიდევ: თავმოჭრილი ტანი აღარ ხლტოდა, თავს სუნთქვა დალეოდა, სიცოცხლის ძალა გამქრალიყო, ხოლო უკანასკნელი უხილავად თითქო იქვე სუნთქავდა. აქ იყო რაღაც იმგვარი, რაიც ძველად „წმინდა შიშად“ ესახებოდა მისნებს. მახსოვს: დანა გავაგდე მაშინ განზე და გავვარდი შორს გიჟივით. ხელებში ცახცახი ამივარდა. იმ დღიდან მიპყრობს შიში დაღვრილი სისხლის წინ, შიში ბნელი, არაადამიანური. სისხლში მე ვხედავ თვითონ სიცოცხლეს: მის არსს, მის საიდუმლოს. ეს ამბავი მომყავს მხოლოდ ამისათვის, რომ დაახლოებით მაინც ნათელვყო, თუ რა არის სისხლი ხევსურისთვის. როცა ხევსურებს უცქერ, ნაჭდევებით სახეზე და ტანზე, მუდამ იარაღასხმულთ და მზადმყოფთ შეტევისათვის, გგონია, სისხლი სწყურიათ მათ მხოლოდ. მაგრამ ეს ასე არ არის. არავის ეშინია სისხლის დაღვრისა ისე, როგორც ხევსურს: არც ერთს ხალხს, არც ერთს ტომს. მკვლელს ხევსურეთში „ლაჩარის“ სახელით სდაღავენ. გმირი მათთვის ის მორკინალი არაა, ვინც სახიფათოდ დასჭრის მოპირდაპირეს. ჭრილობა კანის გაკაწვრა უნდა იყოს მხოლოდ, თვით გაავებულ შებმაშიაც კი - აი უტყუარი ნიშანი ხევსურისათვის ნამდვილი ვაჟკაცობისა.
* * *

სოფელს ხმა მოედო: გივი ქისტაურმა სასიკვდილოდ დასჭრა გოგოთურ გიგაურიო. უნდა გენახათ ხევსურები: თითქო თვით სიკვდილს გადაექროლა მათ სახეებზე, ისე იყო არეულგაბნეულები მათი გამოხედვა. განსაკუთრებით მგელიკა იყო აბორგილი, რადგან გოგოთურ მის საყვარელ მეგობრად ითვლებოდა. ვეღარ იცნობდი ამ ხალისიანსა და მაგარ ხევსურს. თითქო თავის თავი დაჰკარგაო, დარბოდა იგი აქეთ-იქით, ვერსად ვერ ეპოვა ადგილი. ის გარემოება რომ ამ სამწუხარო ამბავში სიმართლე, თავში მაინც, გოგოთურის მხარეზე არ იყო, კიდევ უფრო ამძაფრებდა მის აშლილობას. ღონიერსა და მარჯვე გოგოთურს გაეხელებინა თურმე სუსტი და მოუქნელი გივი. საოცარი სიმარდით გამოეტაცა მას გივისთვის ხანჯალი, გაეკაწრა იგი მსუბუქად და გადაეცა მისთვის დაცინვით მისაივე საჭურველი. ცხადია, ეს სირცხვილად დარჩებოდა გივეს. იგი ისე გაბრაზებულიყო, რომ მოულოდნელად გოგოთურისათვის ხანჯალი მუცელში ჩაეცა.
„გივი ლაჩარ არის“, ბურდღუნებდა მგელიკა, „მაგრამ გოგოთურიც ცუდ და უღირს მოქცეულა“. ხევსური ყოველთვის მის მხარეს იჭერს, ვის მხარეზეც სიმართლეა. არავითარ კავშირს, არც ნათესაურს, არც

მეგობრულს, არც ტომურს, არ ძალუძს გამოიწვიოს მასში პირადი მიკერძოებით გადახრა ვინმესკენ. მგელიკამ წამიყვანა გოგოთურის სახლში. მკურნალი ლიქოკელი დაჭრილს ჭრილობას უხვევდა. გოგოთურს აწუხებდა ტკივილი, მაგრა ცდილობდა, არ ეჩვენებინა იგი. ხევსურისათვის უბრალო კვნესაც კი, ტკივილით აღმომხდარი, სირცხვილია.
* * *

ლიქოკელი იყო 97 წლის მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანითა და ღონით სავსე. ჭრილობის შეხვევისას იგი მუშაობდა, როგორც კარგად ნაწვართი ხელოვანი. გაკვირვებული ვუცქერდი მას. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ მისთვის ნაცნობი იყო ყოველი ნაკეცი ტვინისა, საითგან? ქვეყანას მოწყვეტილ კუთხეში, სადაც არც გაზეთია, არც რკინიგზა, არც ტრამვაი, ვხედავდი მოხუცს, რომელსაც ჰქონდა ცოდნა ყოველგვარი ჭრილობიდა და რომელიც დახელოვნებული იყო მკურნალობაში. საითგან? ვეკითხებოდი ჩემ თავს. ჩემი რწმენა, რომ ხევსურები დანაშთია რომელიღაც კულტუროსანი ხალხისა, აქ ნათლივ მტკიცდებოდა. სხვა ახსნა შეუძლებელი იყო.
გავესაუბრე მოხუცს. ბევრი რამ მამცნო მან. ჭრილობის მოსარჩენად ხმარობდა იგი ერთს მალამოს, კვერცხის ცილისა და თაფლისაგან შეზავებულს. თუ ჭრილობის გნდეებს გამშრალი სისხლი დაეწებებაო, ამბობდა იგი, მაშინ მათ მარილით მოკლული ნაკელის ჭიები უნდა დააყაროვო. ჭრილობა ამ შემთხევაში ისე იწმინდება თურმე, რომ მკურნალის თვალს არცერთი წვრილმანი მოსარჩენისა არ გამოეპარება. განსაკუთრებით აფასებდა იგი ერთს ფხვნილს, უცხო ბალახიდან დამზადილს, რომლის სახელი მან არ იცოდა. მან მომითხრო შემდეგი: გველს დაეჭირა მყვარი; ერთი ხევსური თავს წასწრებოდა ამას; გველს მყვარი უკვე დაეკბინა, რომელიც ძლივს გამხტარიყო განზე და შემძვრალიყო ბალახში; ხევსურმა მოჰკრა თურმე თვალი, როგორ მოსწყვიტა მყვარმა რაღაც ბალახის ფოთოლი და ნაკბენზე დაიდო იგი; მაყურებელი ფრიად გაკვირვებულიყო; რამდენიმე დღის შემდეგ მისულიყო იგი იმავ ალაგს და გაოცებულიყო: მყვარი თურმე დახლტოდა ბუჩქთან უკვე მორჩენილი. ასე გაეგო ხევსურს კურნების ძალა იმ უსახელო ბალახისა. ლიქოკელი ამ ბალახს ხმარობდა.
ბევრი სხვა რამეც გამაცნო მოხუცმა. მის სიტყვებში ყოველი მკურნები ელემენტი მითიურ სახეს იღებდა. თვითონ იგიც თითქო მითოსიდან იყო მოვლენილი. განსაკუთრებით ძალას აკუთვნებდა იგი მოკლულ გველს, წითელსა და თეთრს. განცვიფრებული ვუსმენდი მოხუცს. გავიგე კიდევ, რომ მას შეეძლო თავის ქალის დოსტაქრობაც გაეწია ვინმეს დაუხმარებლად. მრავალი ავადმყოფი მოერჩინა მას: ხევსურების გარდა ფშავლებიცა და ქისტებიც. ერთი ფშავისათვის მოშუღლარს თავი გაეპო ხანჯლით. ლიქოკელს ძვლები უნდა განეშორებინა და ტვინი განეცალკევებინა. ოპერაცია, მეტად ძნელი, დოსტაქარს კარგად დაესრულებინა: თავგაპობილი გადარჩენილიყო. თვალს ვერ ვაცილებდი ამ ჯადოსანს, რომელიც იდგა ჩემ წინ ვითარ ლანდი პრეისტორიული ხანიდან. მას ჰქონდა ცოდნა, რომელიც საუკუნეებს ვერ წაეშალათ. ლიქოკელი ერთი არ იყო ხევსურეთში. ცოდნა, რომელიც თანვე ხელოვნებაცაა, თაობიდან თაობამდე გადადის იქ. გოგოთური ვერ იხნა მაინც ლიქოკელმა. შეღამებისას დაიწყო მან სიკვდილთან ბრძოლა. გოგოთურ ბოდავდა. „სანთელი!“ დაიძახა მან უეცრად ოდნავ წამოწეულმა. შიშმა მოიცვა იქ მყოფნი. „ვაი ჩვენ!“ გაისმა პასუხად. მოიტანეს სანთელი. მისცეს მომაკვდავს მარცხენა ხელში. აანთეს. „ხრმალ!“ დაიყვირა ეხლა მომაკვდავმა უფრო საზარლად.
„ვაი ჩვენს თავს!“ აღმოხდა დედას. მოიტანეს ხრმალი. გადასცეს გოგოთურს მარჯვენა ხელში. „მარილი!“ დაიყვირა კვლავ სუნთქვამილეულმა. „ვაი ჩვენ! ვაი ჩვენ!“ გაისმა ყრუდ ირგვლივ. მოიტანეს მარილი. ჩაუყარეს ხახაში მომაკვდავს. „მოჰკალთ იგი!“ დაიბღავლა მან არაადამიანური ძალით. „მოვკლავთ!“ დაუდასტურეს მას იმგვარივე ძალით.
სანთელი დაიწვა. ხრმალი დაეშვა დაბლა. დამწუხრებულნი იდგნენ უძრავად გოგოთურის ძმები. არცერთ

მათგანს ცრემლი არ უჩანდა. გოგოთურმა დალია სული. დედა წამოხლტა მძვინვარე, მონახა ნავთი და ასანთი და გაექანა მკვლელის სახლისაკენ, რათა უკანასკნელისათვის ცეცხლი წაეკიდა. ძლივს შეაჩერეს იგი. დიდდედა გარდაცვლილისა, ასწლოვანი უკბილო მოხუცი, ბუტბუტებდა თავისთვის რაღაც წყევისა და კრულვისა გვარს. ძმებმა აისხეს საჭურველნი და გაეშურნენ განრისხებულნი შურისსაგებლად. მთელი სოფელი აშლილი იყო. მკვლელი გაქცეული უნდა ყოფილიყო უკვე. ეხლა მართლაც დავინახე სისხლი: საშიშარი, საიდუმლო, რომელიც ჰკიოდა სამაგიეროს ზღვევისათვის, მოითხოვდა მას. გოგოთურის ძმები განპიროვნებანი იყვნენ ამ კივილისა. სიკვდილის აჩრდილი აწვა მთელ სოფელს. ნათლად გავიგე უბედურება სისხლის დაღვრისა.

* * *

დავბრუნდით უკან ჩემი ძმადნაფიცი და მე. მგელიკა სრულიად მოშლილი იყო. მზისა და ხალხისთვის შექმნილი, იგი ეხლა რღვეულს ჰგავდა ბნელეთიდან გამოსულს. მივდიოდით დაღვრემილნი. მგელიკა სდუმდა, მეც ვსდუმდი. ცხადი იყო, რომ მისი ფიქრი მხოლოდ გოგოთურის ირგვლივ ტრიალებდა. „ფრთხილად უნდა იყო სისხლთანა“, წარმოთქვა მან ბოლოს. ეს უბრალო თქმა ჩაეშვა ჩემ სულში როგორც თესლი მარცვალი. სიმართლე იყო მასში აღბეჭდილი, ვითარ ციდან ჩამოვარდნილ ქვაში. „ვინმეს მოკლვა უბედურ არს“, წაიჩურჩულა მან და დაუმატა: „მკვლელისთვისაც, ყველასათვის“. მე არ მიმიმატნია რა ამ სიტყვებისათვის. ჩემმა ძმადნაფიცმა უკვე გამოსთქვა, რისი თქმაც მსურდა.
ბევრი რამე გავიგე მისგან, თუ როგორ გამოსყიდვის ხევსურეთში დაშავება თუ დაზიანება სხეულისა. თვალის დაზიანება მოითხოვს ოცდაათ ძროხას, ფეხის - ოცდაოთხს, ცერის - ხუთს, ნეკის - ერთს. თუ სახეში მოხვედრილ დარტყმას ძვლები არ დაუშავებია, მაშინ ამრიგად ზომავენ სანაზღაუროს: ჭრილობის გასწვრივ ხორბალს გააწყობენ; დასთვლიან მარცვლებს; გამოაკლებენ პირველსა და ბოლო მარცვალს; რაც დარჩება, იმდენი ძროხა უნდა გადაიხადოს დამნაშავემ. ძროხა ხევსურთათვის საზომია დაფასებისა. მიკვირს მხოლოდ, რად არაა იგი აქ წმინდა ცხოველი იმგვარადვე, როგორც ინდოეთში. მიამბობდა ყოველივე ამას მგელიკა მარტივად, მნიშვნელობის მაღრმავებელი ტონით. განცვიფრებული ვფიქრობდი: თუ ამდენი საფასური უნდა გადაიხადოს დამზიანებელმა არ დამშავებელმა, მაშინ რამდენი უნდა გადაიხადოს მკვლელმა! მგელიკამ გადამიშალა მთელი კოდექსი დაუწერელი, მკვლელობის შესახები. გულდასმით ვუსმენდი ყოველ სიტყვას ძმადნაფიცისა. სისხლით შურისგება ხევსურეთში მკვლელობის ასაცდენად სჯულდებად მესახებოდა.
* * *

მკვდარი გარეთ გაიტანეს, რათა სიკვდილის სუნთქვა სახლში არ დარჩენილიყო. გაკრიჭეს იგი და განბანეს. ჩააცვეს ახალი საცმელი ტანს და მორთეს საჭურვლით. ოთხი დღე ესვენა იგი ასე. ხევისბერი ლოცვებს უკითხავდა. მეზობლები მოდიოდნენ: გამოეთქვათ ჭირისუფალთა მიმართ სამძიმარი. არც ერთს დიდი მხატვრის სურათზე არ დამინახავს ის, რაც აქ ვნახე დამწუხრებულთა სახეებზე: უსაზღვრო ტკივილი შინაგანი და ამავე დროს საოცარი სიმშვიდე გარეგანი, თითქოს უძრაობა. მათ იცოდნენ სადაც იყვნენ: აქ სიკვდილი სუფევდა. ჭირისუფალნი ქოხში ისხდნენ ძაძამოსილნი; მამაკაცები, პირგაუპარსავნი, საკინძეგახსნილნი; ქუდები თვალებამდე ჩამოეშვათ, რათა ცრემლი დაეფარათ. მოსულნი მუხლს იყრიდნენ ჭირისუფალთა წინ და ნელი დაბალი ხმით უზიარებდნენ მათ თანაგრძნობას.
ეზოში მომტირალე ქალები მოსთქვამდნენ: „აღსდეგ გმირო“ ჯარი გელის!@ვით დაიძრას იგი უმეთაუროდ!“ „ვაი, ვაი“ ეხმიანებოდნენ მათ მგლოვიარენი ამოძახილის ნელი განფენით. „რად არ იძლევი პასუხს გმირო?“ განაგრძობდნენ მომტირალნი; „არ გსურს გასცე ბრძანებაÁ? შენი ცხენი ჭიხვინებს უთმენი,

რად აგვიანებ?“ მძაფრი ჟრუალი სერავდა მგლოვიარეთ. „წამოდეგ გმირო, თორე დაჟანგდების შენი ფარი, ბლაგვ იქცევის შენი ხრმალი! გვასმინე კიდევ შენი ხმაÁ, მტერის შემაძრწუნებელი! წამოდეგ და ნაცრად აქციე სახელი მისი!“ ვაი, აღარ გვისმენ ჩვენ იგი, აღარ გვისმენს!“ გაისმა ეხლა მომტირალთა გუნდიდან. „ვაი, ვაი!“ აღმოხდა სიღრმიდან ყველას. გლოვა დასრულდა სულის ხსენების რიტუალით. საჭურველი აართვეს მკვდარს. წაასვენეს გარდაცვალებული სასაფლაოსაკენ. გადასცეს მიწას დედას. საფლავზე პრტყელი ლოდი დაადვეს. შემდეგ მარულა გამართეს.
დასაფლავებას მზექალაც დაესწრო. მომკრა თუ არა თვალი, შეირხა იგი ოდნავ და თავი დახარა. შემდეგ შეპარვით მიცქერდა. სისრულით ვიგზნე, ვუყვარდი მას. მგელიკა მოშორებით იდგა, სხვები კი ვერ ამჩნევდნენ ჩვენს უსიტყვო საუბარს. ტკბილი იყო ეს მდუმარე შეხვედრა. ვგებულობდით ერთი-მეორის გულნადებს. მზერა მზერას ხვდებოდა, როგორც გულის ნატვრა თვითონ. ხევსურეთის იშთარი ქალურ ჯადოს მასხურებდა. მეც ვგზნებდი ვნების აღვივებას. საცნაური იყო ეს ერთიმეორისადმი მიზიდვა - სწორედ სიკვდილის უძირო სიბნელის აღქმევისას. ჩემს ხსოვნაში შემოიჭრნენ ავხორცობის სცენები, რომელთაც ძველთაძველ დროში უმთავრესად დასაფლავების დროს ჰქონდათ ადგილი. ეგებ სწადის სიცოცხლეს სიკვდილის ჟამსაც ამტკიცოს და აღვივოს თავისი ძალა: ვფიქრობდი ასე. შესაძლოა, მარულას გამართვაც ამის ცხადება იყო. მაგარი რეჩხი ჩემი გულისა დასტურს იძლეოდა. Ä, მხილველო ძალავ სისხლისა! ვიცოდი უკვე: დღეს ღამით სატრფო მოვიდოდა ჩემთან.
* * *

მოვიდა იგი, ავხორცი და უმანკო. ჩვენი ალერსი წამებად იქცა. „რატომ არ უნდა მოხდეს ჩვენს შორის ის, რაც ხდება ვაჟსა და ქალს შორის?“ ვკითხე მას ჩემს გვერდით გართხმულს. „მე ხომ შენი სწორფერი ვარ და შენ - ჩემი!“ მიპასუხა მან. „ეს ხომ წამებაა!“ შევძახე მე. „წამებაა?“ მომიბრუნა სიტყვა; „ტკბილ ხომ არს!“ ტკბილი იყო „ეს“ უთუოდ, მაგრამ ასე მტანჯავი. რომელმა ვაჟმა შესძლოს ამ ცეცხლის ატანა?
ტკბილად ველოლიავებოდით ურთიერთს. იგი გამომიტყდა: მას თვითონ ეთხოვა თურმე მგელიკასათვის, მოეწყო ჩვენი შეხვედრა. „მაშ მოგეწონე?“ შევეკითხე ღიმილით. „ჰო, ძალიანა!“ მომიგო მან გულახდილად. ბევრი რამ მაცნო მზექალამ სწორფრობის შესახებ.
„ხანდახან ძალა აღარ ჰყოფნით სწორფერთ“, მითხრა მან. „ხოლო ეს სირცხვილ არს, აუგია“. „რომ დაქორწინდნენ?“ „არ იქნების დაქორწინებაÁ, აკრძალული არს“. „მაშ მე არ შემიძლია შეგირთო?“ „არა!“ „ეს ხომ წამებაა!“ „ტკბილ ხომაა!“ ამჯერად ადრე მიმატოვა ლამაზმა.
* * *

მეორე დღეს მე და მგელიკა სოფლის გარეთ ვსეირნობდით. შევამჩნიე ერთი შენობა თირით ნაშენი და თირითვე დახურული. ერთადერთი სარკმელი მისი კარი იყო. „რა არის ეს შენობა?“ ვკითხე მგელიკას. „სამრელო! აქ თავს აფარებენ ქალები, როცა ჰშობენ ან და როცა თვიური აქვთ“. ვუსმენდი ძმადნაფიცს მონდომებული: მეპოვნა მის ნათქვამში რაღაც, რაც სწორფერობის ასახსნელად გამომადგებოდა. მგელიკამ გადმომცა: როცა მოახლოვდება ჟამი მშობიარობისა, ქალს სახლიდან გაიყვანენ სამშობიაროდ გამართულ კარავში; იქ შობს იგი დაუხმარებლად ბებია ქალისა; თვითონ გადაიკვნეტს იგი ჭიპს კბილებით; საიდ ღე დაჰყოფს კარავში, შემდეგ გადადის სამრელოში; კარავს დასწვავენლ სამრელოში ქალი უნდა დარჩეს ერთი თვე; ცივი წყლით უნდა განბანოს მან ბავშვი, მაშინაც კი, როცა ცივი ზამთარი დგას; ხევისბერი დაჰკლავს ცხვარს - არა თხას, ეს ეშმაკეულია - სისხლით აავსებს ხის თასს და მორწყავს სახლს, შესავალს და კედლებს; მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია ქალს დაბრუნდეს სახლში.
შორიდან ხმაური გაისმა: ალბათ ჩხუბობდნენ. მგელიკა გაექანა იქითკენ. გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი და თავს წავადექ ერთს ნაკადულს, რომელიც გარღვეულ კლდის მკერდიდან სჩქეფდა. იქვე ჩრდილში იჯდა

მოსვენებით ერთი მოხუცი, მგელიკას ნათესავი. მივესალმე, მომესალმა. მოხუცმა ამოიღო ჩიბუხი, გატენა თუთუნით; შემდეგ დაადო ტალს აბედი, გაჰკრა კვესი: ნაპერწკალმოდებული აბედი დაურთო თუთუნს; მოსწია ნებიერ ჩიბუხი. მჭნარი და დანაოჭებული ხელები აცნაურებდნენ სინაზესა და სილბილეს. ნელი და ლბილი იყო მოხუცის ხმა, თანაც ნაღვლიანი, დაღონებული. გავესაუბრე მას სხვადასხვა საგნებზე. გულდასმით მისმენდა იგი. ყოველი შენიშვნა მისი მაკვირვებდა სისწორითა და ხვდომით. კარგა ხანს ვმუსაიფობდი მასთან. შემდეგ გავემართეთ ერთად მახლობელ ბორცვისაკენ. უეცრად ორი მოხუცი შევნიშნეთ: კაცი და ქალი, რომელიც ერთიმეორეს ეკვროდნენ დამსხდარნი. მივუახლოვდით, საალერსო სიტყვები მოგვესმა. გამეცინა. შეგვამჩნიეს თუ არა, წამსვე დასცილდნენ ოდნავ ერთიმეორეს, დარცხვენით გაწითლება მათ უკვე აღარ შეეძლოთ. გავშორდით მათ. გრუტუნი უცნაური წყვილისა მოგვესმა კიდევ. „სწორფრები ელოლოვებიან ერთიმეორეს“, წაიფუჩუნა ღიმილით ჩემმა თანამგზავრმა. „რაა?“ წამოვიძახე განცვიფრებულმა. მოხუცები იგონებენ ყვარობის გადასულ დღეებსო, ამიხსნა მოხუცმა; კაცი ცოლშვილიანი და ქალი ქმარშვილიანიაო.
„ერთა სწორფერი გიყვარდეს და სხვაა ცოლი გყავდეს“, დაუმატა მან, როცა შემატყო გაკვირვება. ეხლა გავიგე საბოლოოდ, რომ ხევსურისათვის სქესი და სიყვარული სხვადასხვა რამაა. ჩემი თანამგზავრი სიტყვაძვირი იყო. ვსდუმდი და ვუცდიდი: მსურდა კიდევ რამ გამეგო მისგან. ბოლოს. როგორც იყო, ჩამოაწვეთა მან ორიოდე სიტყვა:

„ღვთიურ არს სიყორულ; ხორციელ იგემებ - მოჰკლავ მას; იწვოდ მხოლოდ!“
დააბოლავა მან საიდუმლოდ. მეტი არა უთქვამს რა.

გამოვეთხოვე ბრძენ ხევსურს და გავეშურე სახლისაკენ. კიდევ ერთხელ ვმზერდი მდუმარე მთებს და ვტკბებოდი კოსმიური მყუდროებით. მატერიული სულიერში გადასულად მევლინებოდა. სიმძიმეს აღარ ვგრძნობდი. თქმა მოხუცისა: „იწვოდ მხოლოდ“ ფიქრებს არ შორდებოდა. ანაზდად სიტყვა მომაგონდა მითიური დიოტიმასი პლატონის „ნადიმიდან“: სიყვარული შობაა მშვენიერებაში, როგორც სულით, ისე სხეულით“. ეს თქმა ჩემთვის საცნაური იყო ყოველთვის და საოცარი. პლატონურ სიყვარულს საუკუნოებში იგულვებდენ როგორც არა ხორციელს. მაგრამ რად არის დიოტიმას თქმაში ჩაწვეთებული: „როგორც სულით, ისე სხეულით“? პლატონის აზრით, სხეულსაც ჰქონია მაშ წილი სიყვარულში! მას არც შეეძლო სხვაგვარად ეაზრა: არახორციელი ეროსი მჭლეა და ბერწი. ვერთვოდი ფიქრებს და საიდუმლოს ვუახლოვდებოდი. სრულყოფილ სამყაროში - პლატონი როგორც „იდეით“ განმჭვრეტი ყოფისა, საგულვებელია, აქაც სრულყოფას გულისხმობს - სიყვერული მართლაც დაბადება უნდა იყოს მშვენიერებაში, როგორც სულით, ისე სხეულით. უსასრულობაში კი „სრულად“ ვერ განამდვილდება იგი: სხეული აქ მოდგმის ანუ სქესის მეშვეა მხოლოდ - ვერ შობს წარუვალს ანუ „მშვენიერს“. შიში სხეულის წინ სიყვარულში აქ უნდა იყოს დამალული. გრძნობენ ხომ მოტრფიალენი უძირო სევდას თვითონ უტკბილეს შვებაშიც კი! თითქო ქვეშეცნეულ იციან წინასწარ რომ სიყვარულს ვერ განახორციელებენ სრულად. ივდიოდი ფიქრებში გართული. „იწვოდ მხოლოდ“ - განა ეს ცხადება არაა პლატონურ გაგებული. სიყვარულისა? ალბათ ხევსურთა ტომი უძველეს დროში ორდენი იყო ერთგვარი, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ასეთი გზნება და მტკიცება სიყვარულისა. ხევსურების ზიზღი მშობიარეს მიმართ ეხლა გასაგები გახდა ჩემთვის: იგი მათთვის მატარებელია არა „შობისა მშვენიერებაში“, არამედ უსრულო შობისა, რომელშიაც მორი წარმავალისა იმთავითვეა შთასახული. „იწვოდ მხოლოდ“ - ესე იგი: იგზნე ღვთიურ-წარუვალი ცეცხლეურ ზღვარზედ. გადალახავ ზღვარს - ფუჭად იქცევა გზნება. რაც დიოტიმას სიტყვაში ქარაგმაა და ნიშნება, მას ხევსურეთში ცოცხალი სხეულობა მიუღია.
ერთი წუთით შეწყდა ფიქრთა დენა. უეცრად ვსცნე: მზექალა ღვიოდა ჩემში, ძალავსილი და მათრობელი.

გზადაგზა თითქმის ყველა რუზე პატარა წისქვილი იყო გამართული, რომელშიც მხოლოდ ერთი კაცი თუ მოიდგამდა ფეხს. მათ მხოლოდ ერთადერთი სარკმელი ჰქონდათ. დოლაბი ახალგაზრდას შეეძლო აეწია ხელით, ისე პატარა იყო იგი ყველგან. ერთი ფუთი ხორბლის დაფქვას მთელი დღე მოუნდებოდა. ბუნების სიდიდეში თუ ძლევამოსილებაში ეს წისქვილები სათამაშოებად მოგეჩვენებოდათ. ხევსურის გულიყური უფრო გონისა და სულისკენაა მიქცეული, ვიდრე მატერიალურისაკენ. კიდევ ერთხელ გადავხედე ამ ნამლევა წისქვილებს. უზარმაზარ კლდეთა შორის თვითეული მათგანი სჩანდა როგორც უსაზღვროებიდან მარტვილად ჩამოშვებული სევდა. ხევსური ცეცხლია და კაეშანი.

* * *

გზაზე შევხვდი ჩემს თანამგზავრთ, რომელნიც მეზობელ სოფლიდან ბრუნდებოდნენ. მგელიკაც მათთან იყო: ალბათ მათ წააწყდა თავს, როცა მე დამცილდა. ჩემი თანამგზავრნი მგელიკას მუნჯურის ენით რაღაცას უხსნიდნენ. მგელიკას ეტყობოდა ყველაფერს გებულობდა. მოსახვევში გამოჩნდნენ ქალები, რომელთაც მხრებით სურნელოვანი თივა მიჰქონდათ. მზექალაც მათში ერია. ტკბილმა ტალღამ გამიარა ტანში. ქალები შეჩერდნენ ერთი ხის ძირას დასასვენებლად. ტვირთი მოიხსნეს. მზექალა იდგა დიდ ჩრდილში, ახოვანი და ათქვირებული. ტუჩები მოეკუმა მაგრად, ნესტოებით ველურ სუნნელთ ისუნთქავდა. ქუთუთოები მოეჭუტა ოდნავ, გრძელ წამწამებიდან სხივიფინებოდა მისი გვერდული მზერა. მალვით მიჭვრეტდა იგი შინაგან ახალისებული. ხანდახან ღიმილი დაჰკრავდა მას, მხოლოდ ჩემთვის ცნობილი. კლდეთა ლანდშაფტი ერთ დიდ ღიმილად მეშლებოდა.
უეცრად ერთმა ჩემმა თანამგზავრმა გადმომცა, ხვალ ვაპირებთ უკან დაბრუნებასო. ელდა მეცა მჭრელი და მწველი. თითქო რაღაც გაწყდა ჩემში. მგელიკას ეუცხოვა ჩემი გაფითრება. „რა მოგივიდის?“ მკითხა მან არეულმა. „ხვალ უნდა დავტოვოთ ხევსურეთი“, მივუგე დაღვრემით. ვუცქერდით ერთიმეორეს: მე და იგი; ვერ გაგვეგო ეს ამბავი: ვერც მე, ვერც მას. მგელიკამ მზექალას გადახედა, ეხლა - არა ღიმილით. მეც გავიხედე უნებურ მისკენ. იგი იდგა უძრავად, შეკვრივული. სჩანდა, მოესმა მას, რა ვუთხარ მგელიკას. იგი იდგა გარინდებული: უსაზღვრო, ბინდით მოცულ უცნოის წინაშე.
დავბრუნდი უკან. ღამე ჩამოეშვა. ველოდი მზექალას. ვფიქრობდი: მოვიდოდა იგი უთუოდ, მოვიდოდა უკანასკნელად; მხოლოდ თანვე არ ვუჯერებდი ჩემს წინათგრძნობას: იმ წამიდან, რაც დაბრუნების ამბავი მომესმა, ჩემი ალღო მოიშალა სრულიად. აბორგებული ვეგდე ლოგინზე, ხან ერთ გვერდზე ვბრუნდებოდი, ხან მეორეზე. ძილი არ მეკარებოდა. არ სჩანდა მზექალაც. აქამდე არ მიფიქრია გაბრუნებაზე, არ ვიცი რად. ეხლა იგი იდგა ჩემს წინაშე როგორც ბედისწერა, სასტიკი და არ დამთმობი. მიყვარდა მზექალა? უღრმესად. ხოლო ეს სიყვარული რაღაც სხვაგვარი იყო. მომაგონდა არაბული თქმა: თუ ცეცხლს შეშა არ მიეც, თავის თავს შეჭამსო. ჩემი ვნება, ცეცხლეულ ზღვართან შეჩერებული, ამგვარ ცეცხლს ჰგავდა უსაზღვროს. ფესვებით ვგზნებდი მზექალას, ვგზნებდი წვეთამდე, ხოლო იმავე დროს უსაზღვროებაში მეკარგებოდა იგი: ახლოც იყო და შორსაც. ჩემი სიყვარული თავის თავის მწველი იყო. როგორ მიმეცა საზრდო ამ ცეცხლისათვის? ამისათვის საჭირო იყო ხევსურად ქცევა. შემეძლო ეს? ვბროგავდი, თითქო ვიღაცას ვებრძოდი. ეს ვიღაც მე თვითონ ვიყავ. ძილი არ მოვიდა. არც მზექალა მოსულა.
* * *

ეს წუთნი მარადისობის ნაწყვეტებად დარჩებიან ჩემში. ვნატრობდი, ერთხელ კიდევ ვენახე მზექალას. მგელიკა სინაზე იყო მთლად, მარტო სინაზე. მეკითხებოდა ყოველწუთს: ვინახულებ თუ არა კიდევ ხევსურეთს, მოვიგონებ თუ არა ჩემს ძმადნაფიცს, ვიფიქრებ თუ არა მზექალაზე; ვაიმედებდი მას მწუხარე: კვლავ ვინახულებ ხევსურეთს, არ დავივიწყებ ძმადნაფიცს, სწორფერიც გულში დამრჩება სამუდამოდ.

მგელიკამ დაჰკარგა სიმშვიდე, წუხილი დაეუფლა მის მოძრაობას. ხოლო წუხილიც მისი სინაზე იყო. გავემგზავრეთ. მზექალა არ გამოჩენილა, განახევრებული ვიყავ. გამგუნდა იგი? შესაძლოა იფიქრა მან, რომ მე არ ძალმიძს სწორფერი ვიყო მისი და ვტოვებდე მას! განმძიმდა გული ჩემი. ღონემიხდილი ვიყავ. აღარ მქონდა საკუთარი ნება: რაღაც მიმათრევდა წინ, ბნელი და ურყევი. მგელიკა გვაცილებდა დადუმებული. უეცრად ბარდიან ღობესთან შრიალი გაისმა. სმენად ვიქეც. გავიხედე იქითკენ მალულად და დავინახე: ერთს სქელ ბარდს ამოფარებოდა მზექალა და ჭვრეტდა ფოთლებიდან. შევანელე ბიჯი, რომ სხვებს არ შეემჩნიათ ეს მოულოდნელი პაემანი. თვალი მოვკარ სატრფოს დიდრონ ლიბრად ციალა შავგვრემან თვალებს. მათში იყო ყველაფერი: სიყვარული, განშორება, წუხილი, ყველაფერი ერთად. ჩემი მზერა სვამდა ამ თვალებს წყურვილდაუნელებელი. ერთი წუთით მარადისობაში ჩავიძირე. მეჩვენებოდა: თითქო ორივე, მე და ის, ვცოცხლობდით ერთად, ვცოცხლობდით და ვკვდებოდით ერთმანეთის მზერაში. მივდიოდი მთვარეულის ნაბიჯით, ხანდახან უკან გავხედავდი ღობეს: მზექალას მზერა მაკავებდა. კიდევ ერთი წამი და მას შეეძლო ჩემი გაქვავება. უეცრად მგელიკას ძახილი გაისმა. იგი მე მეძახოდა მთვარეულადქცეულს. ნაბიჯი მოვუჩქარე. ბარდიანი ღობე დარჩა უკან, დაუვიწყარი. მარადისობა გაიბზარა და გაწყდა. მუხლის სახსრებში ცახცახი იყო ახლა. „მომწყდა გული“ - ეხლა ვიგრძენი ნამდვილად ეს ქართული თქმა. გავცილდით სოფელს. ეხლა ცხენზე შევსხედით. გზა იყო იგივე, მთის ვიწრო ბილიკი. მგელიკა ჩემს გვერდით მოდიოდა. ვგრძნობდი ყოველ ნაბიჯს, რომელიც ხევსურეთს მაშორებდა. გადავხედავდი ხოლმე სოფელთ, კლდის დაფენებებზე არწივის თუ გავაზის ბუდეებისავით გამართულთ. ვიგონებდი ხრმლებს და გულებს. ვშორდებოდი მედგარ, უტეხ ხევსურებს, რომლებიც ბავშვებს შეპარვით ეფერებიან. ერთი მათგანი, ძმადნაფიცი ჩემი, ჩემს გვერდითYმოდიოდა. იგიც მეალერსებოდა მალულად სევდიანი მზერით. მწუხარებამ იმატა. ღნიოში ჯურღმულები, საცა მზის სხივი ადგილადგილ თუ მწვდებოდა, მკერდს მივიწროვებდნენ. მიზიდავდა დენა თეთრად აქაფებულ მდინარისა დაკლაკნილ ხევში - ვერ ვგრძნობდი კი სად ვიყავ. უსაგნოდ მმზერს დიდი ლოდი მხვდებოდა ხანდახან თვალში: ზოგი მწვანე ხავსით მოკიდებული, რიგი ვეჟანა სირსველით აფორაჯებული. მესმოდა გაყინულ ლანქერთა შუა მოშვებულ მთიდან მოხეთქილ ჩქერალთა ხმაური. ხმაური თითქოს უსაზღვროებიდან მოდიოდა. მწუხარებაში ვიყავ ჩაძირული.

ფართო ღრე უკან დარჩა. საძოვრებზე სჩანდა ძროხათა რემა და ცხვართა ფარა. შორს ბრწყინავდა გიგანტიც ქედი ერთი მთისა მზეში. იქ სუფევდა მარტოობა, იქ იყო სიმტკიცე. გულს მომეშვა ოდნავ. ვიკრებდი ძალას, რათა გადამეტანა განშორება. მზექალას ვეღარ ვხედავდი, ძმადნაფიცს უნდა გამოვთხოვებოდი. წამი: მარადისობისგან ამოჭრილი. გადმოვხლტით ცხენიდან. მგელიკამ მოიხსნა ხრმალი მგელის ნიშნით აღბეჭდილი და გადმომცა იგი საჩუქრად. ჩემი თანამგზავრნიც მეგობრულად გამოეთხოვენ მას. მგელიკა ღვივოდა, ბორგავდა შინაგან. ვგრძნობდი: თითქო რაღაც ქვემყარებული მწყდებოდა და მცილდებოდა სამუდამოდ. აღარ მქონდა ღონე, მხოლოდ ნაჩუქარი ხრმალი მმატებდა ძალას. განვვლეთ მდინარე. გავუდექით გზას დანაღვლიანებულნი. მივდიოდი თანამგზავრებთან ერთად და მარტო ვიყავ მაინც: ძმადნაფიცი აღარ იყო ჩემს გვერდით. „გივარგი!“ გაისმა უეცრად მაგარი ხმა. შევჩერდი. გავიხედე უკან. მგელიკა იდგა მდინარის მეორე ნაპირზე. მსურდა მეც გავხმიანებოდი - ძალა აღარ მეყო. მხოლოდ უსიტყვო მზერა გავუშვი მისკენ, სიყვარულით და ურვით სავსე: განვაგრძეთ გზა. „გივარგიი!“ გაისმა ხელმეორედ ხმა ძმადნაფიცისა. შევჩერდი ვითარ შუაგარღვეული. მგელიკა ისევ იმავე ალაგას იდგა. ვერც ეხლა შევძელ გავხმიანებოდი. მივდიოდი დაღონებული. წინა მოსახვევი იყო დაფენებულ კლდის გასწვრივ. „გივარგიიიი!“ გაისმა მესამეჯერ ძახილი, ახლა საშინელი დაძაბვით, თითქო გამსკდარი. მოვბრუნდი - მაგრამ ჩვენ უკვე მოსახვევს ვიყავით გაცილებულნი. მგელიკა აღარსად სჩანდა. გავბრუნებულიყავ და ერთხელ კიდევ გამეშვა მზერა ძმადნაფიცისაკენ? მაგრამ ეს მიწას მიმაკრავდა. გავყევი თანამგზავრებს. კიდევ გაისმა მგელიკას ძახილი ერთხელ, ორხელ, ეხლა საშინელი და შემზარავი. შემდგომ - თითქო

უკანასკნელი სუნთქვა შეერთო უკუნეთს - ჩამოეშვა მძიმე, ღვრემამოცული მდუმარება.
მინაწერი (გამომცემლის, ზურაბ კიკნაძის კომენტარი): ნოველას საფუძვლად უდევს ქართულ სინამდვილეში (და შესაძლოა, მსოფლიოშიც) თავისი კერძო გამოხატულებით უნიკალური წეს-ჩვეულება სწორფრობისა, რომლის წარმოშობა და საზოგადოებრივი ფუნქცია იდუმალებით არის მოცული. არ არის შემთხვევითი, რომ ნაწარმოების გმირი „გეორგიი ვალუევ“ ნახევრად ქართველია, ნახევრად რუსი, ეს არის ერთგვარი პოეტური ხერხი, უფრო სწორად, „გნოსეოლოგიური პოზიცია“ ავტორისათვის ამ „უსაიდუმლოესი ტომის“ შესაცნობად: ის ჭვრეტს მას ორგვარი თვალით: მშობლიური და უცხოთი, „სხვაური“ თვალით. აქ უნდა ჩანდეს ვარიაცია ავტორის საყვარელი და საბედისწერო თემისა - მამა და თან სხვა“ (ანუ მშობლიური და თან უცხო), „რამეთუ იყო იგი სხვაჲ ჩემი“ („გველის პერანგი“). ნოველაში ეს ამგვარად არის გადმოცემული: „ყოველი არსი ისწრაფვის სხვაურისა და უცხოურისაკენ თვითქცევაში“. გრიგოლ რობაქიძე ერთადერთია ქართველ მწერალთა (და თუნდაც, მკვლევართა) შორის, რომელიც ჩაწვდა სწორფრული ურთიერთობის ეგზისტენციალურ სიღრმეს; ნოველაში ჩართული პარალელური ეპიზოდი მკვლელობისა წარმოაჩენს ამ წესჩვეულების შინაგან მხარეს: როგორც ორთა შერკინებაშია ლაჩრობა სასიკვდილოდ დაჭრა მოწინააღმდეგისა, ასევე სწორფრულ ურთიერთობაში ზღვარს გადასვლა.
„ენგადი“ პირველად დაიბეჭდა „ბედი ქართლისას“ 10-11 №№-ში რუბრიკით „კავკასიური ნოველები“. ენგადი ბაღ-ვენახოვანი ოაზისია მკვდარი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, მისი ვენახები სატრფოს მეტაფორული სახეა „ქებათა-ქებაში“ (1,14).